
**თბილისის მუნიციპალური ნარჩენების
მართვის სისტემა**

კვლევის ანგარიში

თბილისი, 2006 წ., ივლისი-აგვისტო



© მწვანე ალტერნატივა, 2006
© BCG Research, 2006

ISBN: 99940-65-07-6

კვლევა შესრულებულია BCG Research-ის მიერ, ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”-ს დაკვეთით და ეუთო-ს ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს ეუთო-ს ოფიციალურ პოზიციას.

წინასიტყვაობა

ნარჩენების მართვის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია მსოფლიოში. განვითარებულ ქვეყნებში ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან დაიწყო ნარჩენების მართვის მდგრადი მეთოდების დანერგვა, რომლებიც, პირველ რიგში, ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზეა ორიენტირებული და ასევე, ნარჩენების უსაფრთხო მართვას გულისხმობს. ამ მხრივ, საქართველო ამ სფეროს განვითარების მხოლოდ ადრეულ სტადიაზე იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ნარჩენების თემა საქართველოშიც აქტუალური გახდა, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გადაჭრას საჭიროებს.

წარმოდგენილი სოციოლოგიური კვლევა, რომელიც ძირითადად ეყრდნობა როგორც ნარჩენების მართვაში ჩართული სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციების, ისე თბილისში მცხოვრები მოქალაქეების გამოკითხვის შედეგებს, მიზნად ისახავს თბილისში ამჟამად არსებული ნარჩენების მართვის სისტემის დადებითი და უარყოფითი ასპექტების გამოვლენას, ამჟამად მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესების შესწავლას, ისევე როგორც ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვის შესაძლებლობების გამოვლენას და ამდენად, არსებული და მომავალი მიმართულებების გარკვეული ანალიზის საშუალებას იძლევა.

ვიმედოვნებთ, რომ კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდება ნარჩენების მართვაში ჩართული სახელმწიფო უწყებებისთვის და ასევე, სხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის.

სოციოლოგიური კვლევა ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”-ს დაკვეთით ჩატარა კომპანიამ BCG Research. BCG Research-ს რჩევებს უწევდა “მწვანე ალტერნატივა”-ს ექსპერტი თამარ გუგუშვილი. კვლევის შესავალი და დასკვნითი ნაწილის ავტორიც თამარ გუგუშვილია.

“მწვანე ალტერნატივა” მაღლობას უხდის ეუთო-ს კვლევის ფინანსური მხარდაჭერისთვის, BCG Research-სა და თამარ გუგუშვილს გაწეული სამუშაოსთვის და ყველა იმ პირსა თუ ორგანიზაციას, რომლებმაც არ დაიშურეს დრო და ენერჯია კვლევის ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციის მოწოდებისთვის.

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”
აგვისტო, 2006 წ.

ანოტაცია

2006 წლის ივლის-აგვისტოში თბილისის ნარჩენების მართვის სისტემაში გატარებული ცვლილებების შედეგად ამჟამად ნარჩენების მართვის სისტემაში ძირითად რგოლს ქალაქის დასუფთავების სამსახური წარმოადგენს. სწორედ ქალაქის დასუფთავების სამსახურმა იტვირთა ის ფუნქციები, რომლებსაც ადრე რაიონული გამგეობები ასრულებდნენ. სამსახური დაკვეთას აძლევს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს (შპს), რომლებიც სხვადასხვა რაიონებში ნარჩენების შეგროვებასა და გატანაზე მუშაობენ და აკონტროლებს მათ საქმიანობას. რესპონდენტები მიესალმებიან ქალაქის დასუფთავების სამსახურის ჩამოყალიბებას, რადგან, ერთი ცენტრალიზებული ორგანოს შექმნამ სფეროში გაზარდა მასში შემავალი ერთეულების კოორდინაციის ხარისხი და „სფეროს გაუჩნდა პატრონი“.

შპს-ების საქმიანობის მთავარ პრობლემას მათ ხელთ არსებული მანქანების გაუმართაობა და მუშახელის ნაკლებობა წარმოადგენს. თავის მხრივ, დასახელებულ პრობლემებს ფინანსების სიმწირე განაპირობებს. კვლევის მიმდინარეობის ეტაპზე ქალაქის მუნიციპალიტეტმა დასახელებულ ორგანიზაციებს ახალი ნაგვის მანქანები გადასცა, რამაც შპს-ებს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინათ ავტო-პარკი. 2006 წლის 1 აგვისტოდან გაიზარდა სფეროში დასაქმებულთა ხელფასებიც, რამაც შედარებით უნდა მოაგვაროს კადრების ნაკლებობის პრობლემაც, რასაც ფინანსების სიმწირესთან ერთად, ნაწილობრივ, სფეროს არაპრესტიჟულობაც განაპირობებს.

შპს-ების თანამშრომელთა ანაზღაურებისა და ნარჩენების გატანის საფასურის დაანგარიშების სქემა თბილისის საკრებულოს მიერ არის დამტკიცებული და საერთოა ყველა დასახელებული ორგანიზაციისთვის. შპს-ების საქმიანობა ნაწილობრივ სახელმწიფოსგან, ნაწილობრივ კი მოსახლეობისაგან ამოღებული გადასახადებით ფინანსდება. დასახელებული ორი წყაროდან უფრო სტაბილურს სახელმწიფო დაფინანსება წარმოადგენს, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი წლობით არ იხდის გადასახადს. ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ბერკეტი მათ წინააღმდეგ - ნარჩენებში ურჩი და პატიოსანი გადამხდელის ნარჩენის გამოყოფა და გატანა/არგატანა, შეუძლებელია.

გადასახადების ამოღებაზე ელექტრო-ენერჯის მიმწოდებელ კომპანია „თელასთან“ ერთად მუშაობამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსახლეობიდან გადასახადის ამოღების მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი თითქმის ყველა გამოკითხულ რაიონში 1.5-2-ჯერ გაიზარდა. ამასთან, მოსახლეობამ „უბრალოდ, შეიძინა ნაგვის გატანის საფასურის გადახდის ჩვევა“. ამის მიუხედავად, გადასახადების ამოღების მაჩვენებელი იშვიათად აღემატება 50%-ს (თუმცა, მოსახლეობაში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულების 80% ნარჩენების გატანის გადასახადს იხდის).

კიდევ უფრო რთული ვითარებაა ბიზნეს-სტრუქტურებთან ურთიერთობისას. ამ უკანასკნელთ მოეთხოვებათ გააფორმონ ხელშეკრულება მათი რაიონის დასუფთავებაზე მომუშავე შპს-ებთან და ყოველთვიურად გადაიხადონ გადასახადი. ბიზნეს-სტრუქტურების უმრავლესობა გადასახადს არ იხდის, მათი მომსახურების სუბსიდირებას კი სახელმწიფო არ ახდენს. პრაქტიკულად, მათ შპს-ები უსასყიდლოდ ემსახურებიან. თავის მხრივ, პრობლემას ქმნის ისიც, რომ არ არსებობს სქემა, რომლის მიხედვითაც ბიზნეს-სტრუქტურების

გადასახადის სიდიდე განისაზღვრება. გადასახადი უფრო მეტად დამოკიდებულია არა ბიზნეს-ორგანიზაციის მიერ დაგროვებული ნარჩენის რაოდენობაზე ან ხასიათზე, არამედ ურთიერთშეთანხმებაზე შპს-სა და ბიზნეს-ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შორის, რომელიც იშვიათად სრულდება. შესაძლოა, სწორედ დადგენილი ტარიფის არარსებობის გამო, ბიზნეს-სტრუქტურებს არ აქვთ გათავისებულებული ნაგვის გატანის საფასურის გადახდის აუცილებლობა და პირად ურთიერთობას შპს-ების ხელმძღვანელობასთან არასერიოზულად აღიქვამენ.

რესპონდენტების ინფორმაციით, ქალაქის მუნიციპალიტეტი გეგმავს საკუთარ თავზე აილოს გადასახადების ამოღება როგორც მოსახლეობიდან, ისე ბიზნეს-ორგანიზაციებიდან. ურჩი გადამხდელებისათვის კი დაწესდება დიდი ფულადი ჯარიმები (ეს განსაკუთრებით ბიზნეს-სტრუქტურებს ეხება). შპს-ები მიიღებენ სრულ დაფინანსებას მათ მიერ ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენის ოდენობის შესაბამისად.

ქალაქის დასუფთავების სამსახურის ექსპლუატაციაშია ნაგავსაყრელებიც (გლდანისა და იალღუჯას). ნაგავსაყრელზე საქმიანობას კერძო კომპანიები ახორციელებენ. ნაგავსაყრელებზე მრავალი პრობლემაა, მათ შორის: ნაგავსაყრელები განიცდიან ტექნიკის ნაკლებობას, სადრენაჟო სისტემები მოძველებულია, გლდანის ნაგავსაყრელზე ხდება აალება, რომლის ლიკვიდაციაც ვერ ხერხდება ერთი მხრივ, წლების მანძილზე ნარჩენების არასწორი დაკონსერვების, მეორე მხრივ კი, იმის გამო, რომ ნაგავსაყრელს წყალი არ მიეწოდება. ტერიტორიის სრულად მორწყვა ვერ ხერხდება იალღუჯაზეც. არ ხდება ნაგავსაყრელების სათანადოდ დეზინფექცია, მათი მუშაობა თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

ზოგადად, ნარჩენების მართვის სისტემაში არ არსებობს კონკურენცია. სისტემაში ჩართვის სურვილს პერიოდულად არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური კომპანიებიც გამოთქვამდნენ, თუმცა, საბოლოოდ უარს ამბობდნენ, რადგან გადასახადების დაბალი ამოღებისა და სისტემის გაუმართაობის გამო, მიღებული შემოსავლები მცირეა. სფეროში, პრაქტიკულად, არ ტარდებოდა ტენდერები. ამის მაგალითია შპს-ები, რომლებიც სხვადასხვა რაიონების დასუფთავებას ემსახურებიან და წლების მანძილზე ამ საქმით არიან დაკავებულნი. დამკვეთი მათ უბრალოდ პერიოდულად უგრძელებს ხელშეკრულებას, როგორც ყველაზე გამოცდილებსა და აწყობილ სისტემაზე მორგებულ, მოცემულ პირობებში მეტნაკლებად ეფექტურად მომუშავე ორგანიზაციებს.

იმ სირთულეების გარდა, რომლებიც ნარჩენების მართვის სისტემაში მომუშავე კომპანიებს საქმიანობის პროცესში ხვდებათ, გამოსაყოფია მოსახლეობის დამოკიდებულება, ზოგადად ნარჩენის დაგროვებისა და მისი გატანის მიმართ. გამოკითხულების აზრით, სისტემის მუშაობის მიმართ მოსახლეობის ზერელე დამოკიდებულება გაცილებით საზიანოა, ვიდრე ნაგვის გადასახადის არგადახდა. მოსახლეობა ხშირად ნარჩენს ყრის პირდაპირ ქუჩაში, შესაძლოა ნაგავშემკრებ კონტეინერთან, მაგრამ არა მასში. ქუჩების სისტემატური დაგვის მიუხედავად, ისინი ძალზე მალე ბინძურდება, რადგან ქუჩას აბინძურებენ როგორც გამვლელები, ასევე მანქანების მძღოლები. ამასთანავე, მოსახლეობა შპს-ებს არამარტო საყოფაცხოვრებო ნარჩენების, არამედ სამშენებლო ნაგვის გატანასაც ავალდებულებს. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს დამატებით მუშახელს, დამატებით ტექნიკას (რადგან კონტეინერთან დაყრილი ნაგვის გატანას, ხშირად, ერთი მანქანა არ ჰყოფნის). სამშენებლო ნარჩენები ქუჩებში, ძირითადად, ღამე გამოაქვთ. მიმართვის შემთხვევაში, შპს გარკვეულ საფასურად მოემსახურება მოსახლეს, რომელსაც აქვს სამშენებლო ნარჩენი, თუმცა, ასეთი შემთხვევები იშვიათია.

რესპონდენტები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის დაუდევრობა კიდევ უფრო მეტ პრობლემას შეუქმნით მომავალში – მუნიციპალიტეტის მიერ ჩამოყვანილ ახალ ნაგვის მანქანებს აქვთ დამატუცმაკცებელი, რომელიც საყოფაცხოვრებო ნარჩენზეა გათვლილი და სხვა ტიპის ნარჩენს რთულად ამუშავებს. დასახლებული მიწების გამო, ისინი შესაძლოა, მალე გამოვიდეს მწყობრიდან.

რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ნარჩენების დახარისხებას დიდი პოტენციალი აქვს, რადგან ნაგავსაყრელებზე უამრავი სხვადასხვა სახის რესურსი გროვდება (მინა, პლასტმასი, ქალაღი, ფერადი ლითონი და სხვა), რომელსაც იყენებენ კიდევ ცალკეული კერძო პირები ან ორგანიზაციები. დღეისათვის ქალაღს და პლასტმასს პრესავს და ყიდის ორი შპს - „ვაკე“ და „თბილსერვისი“. ცალკეული კერძო კომპანიები იბარებენ და თავად ყიდიან სხვადასხვა მასალებს. ნარჩენების დახარისხებულად შეგროვებისა და გადამუშავების რეციკლირების დანერგვის პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:

- მოსახლეობას დიდი დრო დასჭირდება ნარჩენების დახარისხებასთან შესაგუებლად, რადგან „მათ ჯერ ნაგვის ურნამდე მიტანა უნდა ისწავლონ“. ამასთან, მოსახლეობას უნდა ჰქონდეს სტიმული ნარჩენების სანაცვლოდ ფულადი ანაზღაურების ან მომგებიანი მორალური პოზიციის სახით, რომ ისინი ამცირებენ გარემოს დაბინძურებას, რასაც შესაბამისი აგიტაცია სჭირდება;
- გადამამუშავებელი ქარხნის აგებას დიდ ფინანსებთან ერთად სჭირდება ზუსტი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ნარჩენის რა რესურსი არსებობს ქვეყანაში (ნარჩენების ინვენტარიზაციის პროექტზე ამჟამად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მუშაობს);
- რაც მთავარია, ნარჩენების შეგროვებისა და მეორადი ნედლეულის გადამამუშავებას რეციკლირებას სჭირდება გამართული საკანონმდებლო ბაზა, ვინაიდან ზოგიერთმა კომპანიამ ნარჩენებზე მუშაობა სწორედ სათანადო ურთიერთობების დაურეგულირებლობისა და სფეროში ქაოსის გამო შეწყვიტა.

მეორე მხრივ, საქართველოში არსებობს რამოდენიმე საწარმო (ქსნის მინის ტარის ქარხანა, თბილისის ქალაღის ფაბრიკა), რომლებიც მეორად ნედლეულს ამჟამადაც გადამამუშავებენ და გაცილებით მეტის ათვისება შეუძლიათ. ნარჩენების დახარისხება კი ზოგადად, ნაგვის შემცირებასთან ერთად ხელს შეუწყობს როგორც ქალაქის ნაკლებად დაბინძურებას, ასევე გარკვეული ტიპის ბიზნესის განვითარებასა და სახელმწიფოს შემოსავლების ზრდას (ნარჩენების შემცირება არ შედის მხოლოდ ნარჩენების შემგროვებელი და გამტანი შპსებისა და ნაგავსაყრელების ინტერესში, რადგან მათ შემოსავალს სწორედ ნარჩენის ოდენობა განსაზღვრავს).

რესპონდენტების საერთო აზრია, რომ ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების მაკორდინირებლის ფუნქცია ქალაქის მუნიციპალიტეტმა უნდა იტვირთოს. მანვე უნდა მისცეს სისტემაში მონაწილეობის სტიმული კერძო კომპანიებსაც (შემდეგისდაგვარად, ხელი შეუწყოს მათ საქმიანობას, იზრუნოს სახელმწიფოს მხრიდან მათთვის გარკვეული შეღავათების დაწესებაზე და ა.შ.).

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	8
1.1 კვლევის მიზნები	11
1.2 კვლევის ფარგლები	11
1.2 მეთოდოლოგია	12
2. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემა და ნარჩენების მართვაში ჩართული სტრუქტურები	13
2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვაში ჩართული სტრუქტურები, მათი იერარქია და მოვალეობები	13
2.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის სქემა - ზოგადი სურათი	16
2.3 მუნიციპალური ნარჩენების მართვის ფინანსური ასპექტები	20
3. პრობლემები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში	22
3.1 გადასახადების ამოღება მოსახლეობიდან	24
3.2 ურთიერთობა ბიზნეს-სტრუქტურებთან	26
3.3 კადრები	28
3.4 არაკონკურენტული გარემო ნარჩენების მართვის სფეროში	29
3.5 მოსახლეობის ცნობიერების დონე	30
4. ცვლილებები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში	32
5. ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების კერძოპროექტი	35
5.1 ნარჩენების მართვის სისტემაში ჩართული ორგანიზაციები დახარისხებული ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობების შესახებ	35
5.2 მოსახლეობის როლი ნარჩენების დახარისხებულად შეგროვებაში	36
5.3 სხვადასხვა კერძო კომპანიები, დახარისხებული ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობების შესახებ	38
5.4 ნარჩენების შემცირების სხვა პერსპექტივები	40
6. მეორადი ნედლეულის გადაამუშავებელი კომპანიები	42
6.1 ქსნის მინის ტარის ქარხანა	42
6.2 ქალაქის ფაბრიკა	44
6.3 პლასტმასის გადამამუშავებელი კომპანია „მეტალოპლასტიკი“	47
6.4 მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების რეკომენდაციები	47
6.5 უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები მეორადი გადამამუშავების შესახებ	49
დასკვნა	51

1. შესავალი

დღესდღეობით ნარჩენების თემა მთელს მსოფლიოში ძალზე მწვავეა. ნარჩენების არასწორი მართვის შედეგად გამოწვეულმა გარემოს პრობლემებმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. თუმცა, საქართველოში ნარჩენების სფერო უახლოეს პერიოდამდე ერთ-ერთ ყველაზე უგულვებელყოფილ სექტორად რჩებოდა სხვა გარემოსდაცვით საკითხებს შორის. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს პრობლემები გარემოსდაცვითი და კერძოდ, ნარჩენების მართვის დაგეგმვის სფეროში, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების სიმცირე, ისევე როგორც მოსახლეობის არასაკმარისი დაინტერესება გარემოს საკითხებით და საერთო სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ნარჩენების რაოდენობამ მოსახლეობის ზრდასთან და ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად კატასტროფულ ზღვარს მიაღწია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნათელი გახდა ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვის აუცილებლობა. ერთის მხრივ, დედამიწის შეზღუდული რესურსები, რაც ნარჩენების განთავსებისთვის არის საჭირო, და მეორე მხრივ, ნაგავსაყრელების მაღალი ტოქსიურობა, რაც გამოწვეული იყო ტექნოლოგიური ინოვაციებით და მზარდი წარმოებით, ეჭვის ქვეშ აყენებდა ნაგავსაყრელების, როგორც ნარჩენების განთავსების ყველაზე იაფი საშუალების როლს. სინამდვილეში, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის საჭირო სოციალური და ეკონომიკური ხარჯები გაცილებით მეტი აღმოჩნდა. ამდენად, აქტუალური გახდა ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების ძიება, რაც ნარჩენების რაოდენობის შემცირებისკენ იქნებოდა მიმართული და ნაკლებ ზიანს მიაყენებდა გარემოს. შეიქმნა ე. წ. ნარჩენების იერარქია, რომლის მიხედვითაც ნარჩენების მართვის სისტემაში ყველაზე მაღალი პრიორიტეტი ნარჩენების თავიდან აცილების და ნარჩენების შემცირების ისეთ მეთოდებს მიეკუთვნება როგორცაა მეორადი გადამუშავება, კომპოსტირება და ნივთების ხელმეორედ გამოყენება. შემდეგ საფეხურზეა ნარჩენების დაწვა ენერჯის მიღების მიზნით, და სულ ბოლოს, ყველაზე ნაკლები პრიორიტეტით ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების მეთოდი სარგებლობს. ნარჩენების ეს იერარქია მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნის ნარჩენების მართვის სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ მასზე დაყრდნობით ხდება ნარჩენების მართვის გეგმისა და მეთოდების შემუშავება, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ ნაგავსაყრელზე ნარჩენების მინიმალური რაოდენობა მოხვდეს.

ნარჩენების იერარქიის პრინციპების განსახორციელებლად სხვადასხვა ქვეყნები თავად შეიმუშავებენ კონკრეტულ მეთოდებს და მექანიზმებს. არსებობს ნარჩენების შემცირების სხვადასხვა ხერხები. მაგალითად, პროდუქტების რეციკლირება და ხელმეორედ გამოყენება; წარმოებული პროდუქტის შემცირება; ნარჩენებზე გადასახადის გაზრდა; ნაგავსაყრელის დაბეგვრა და სხვ. ხშირად სახელმწიფო სუბსიდიები თუ გადასახადები მიმართულია მეორადი გადამუშავების წახალისებისაკენ. ზოგჯერ ადგილი აქვს იძულებით რეციკლირებასაც, როცა გადამუშავებადი პროდუქტის ნარჩენების საერთო კონტეინერში განმთავსებელი ჯარიმით ისჯება. ნარჩენების შემცირებისკენ

მიმართული სხვა მეთოდები უშუალოდ წარმოების ეტაპზე ახდენენ გავლენას. მაგალითად, გადასახადის დაწესება წარმოებული პროდუქტის ერთეულზე, ან გადასახადი შესაფუთ მასალაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შესაფუთი მასალის ფრაქციას ნარჩენების საერთო რაოდენობაში. პროდუქტზე მწარმოებლის გადასახადის დაწესების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც წესი, პროდუქტის თვითღირებულებაში არ შედის ამ პროდუქტის, როგორც ნარჩენის განთავსება-გაუვნებლებლობისათვის საჭირო ხარჯები, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ზიანის საკომპენსაციო ხარჯები, რომელსაც ეს ნარჩენი გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას მიაყენებს, არ არის შესული საბაზრო ფასებში და, საბოლოოდ, სახელმწიფოს ან საზოგადოების გადასახდელია. მწარმოებლის პასუხისმგებლობის დანერგვა სწორედ ამ დარღვეული საბაზრო ბალანსის აღდგენის ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე მიყენებული ზიანის გამო ნაგავსაყრელებს ყველაზე დაბალი პრიორიტეტი ენიჭებათ, ყოველთვის დარჩება გარკვეული რაოდენობით ნარჩენი, რომელიც ნაგავსაყრელზე განთავსებას საჭიროებს. ამდენად, დიდ მნიშვნელობას იძენს ნაგავსაყრელების სათანადო მოწყობის საკითხი. თანამედროვე ნაგავსაყრელები ე.წ. სანიტარიული ნაგავსაყრელები უზრუნველყოფს დრენაჟის გაჟონვის პრევენციას. ასევე ხდება მეთანისა და ნახშირორჟანგის შეგროვება რათა არ მოხდეს ჰაერის დაბინძურება. ნარჩენები შრეებად არის განლაგებული და პერიოდულად საიზოლაციო ფენით იფარება. ამდენად, ნაგავსაყრელების პრობლემები, რაც განსაკუთრებით მწვავედ იდგა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ, ნარჩენების აალება, ჰაერის დაბინძურება, დრენაჟის გაჟონვის შედეგად მიწისქვეშა წყლების, ნიადაგისა და ზედაპირული წყლების დაბინძურება, მღრღნელების გავრცელება, სუნი და მტკვერი ნაგავსაყრელებზე, მნიშვნელოვანწილად გადაიჭრა.

მიუხედავად მსოფლიოში არსებული ტენდენციებისა, საქართველოში ნარჩენების მართვა მხოლოდ ტექნიკური მომსახურების ხასიათს ატარებს და ძირითადად, სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციით შემოიფარგლება. ნარჩენების მართვის ძირითად ფორმად კვლავ ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება რჩება. ამასთან, ნაგავსაყრელები მოუწყობელია, არცერთი პარამეტრით არ შეესაბამება ზოგად გარემოსდაცვით სტანდარტებს და მუდმივი დაბინძურების წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდულია და რამდენიმე წელიწადში ამოიწურება. გარდა ამისა მთელი რიგი ნაკლოვანებებია ნარჩენების გატანის სფეროშიც. ნარჩენების გატანის ხშირი დაგვიანება, მოძველებული ტექნიკა, მოუწყობელი ბუნკერები და კონტეინერები, ქუჩების დანაგვიანება მუდმივ ანტისანიტარიულ გარემოს ქმნის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ნარჩენების საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა საქართველოს პოლიტიკურ არენაზე. ამჟამად იგეგმება ნარჩენების მართვის სახელმწიფო სტრატეგიისა და კონცეფციის ჩამოყალიბება, ასევე მიმდინარეობს ნარჩენების მართვის სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია. თუმცა მთელი რიგი საკითხებისა – სოციო-ეკონომიკური პრობლემები, მოსახლეობის დაბალი დაინტერესება, ადმინისტრაციულ-ფინანსური სახსრების ნაკლებობა და სხვ. გარკვეულ სირთულეებს ქმნის სფეროს განვითარებისათვის. ამდენად, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია

კვლევა რომელიც არსებული სისტემის ფუნქციონირება-ნაკლოვანებებს, ასევე ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვის შესაძლებლობებს გამოავლენს. მით უფრო, რომ კვლევა ითვალისწინებს სფეროში ჩართული და პოტენციურად დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და მათი სავარაუდო როლის შეფასებას ნარჩენების მართვის მომავალ სისტემაში. კვლევა დაემთხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს ამ სფეროში, რაც გარკვეულად, მომავალი მიმართულებების ანალიზის საშუალებას იძლევა, თუმცა, ბევრი რამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, მით უფრო, რომ არ არის შემუშავებული ნარჩენების მართვის სახელმწიფო სტრატეგია.

1.1 კვლევის მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის, მისი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, მოსალოდნელი ცვლილებების, მასში მონაწილე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციების საქმიანობის კვლევა; ასევე, ნარჩენების მართვის დღევანდელი პრაქტიკისგან განსხვავებული, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო მისაღები მეთოდების დანერგვის შესაძლებლობების გამოვლენა. აღნიშნულ საკითხთა საკვლევად გამოიყო შემდეგი ერთეულები:

- მუნიციპალური ნარჩენების მართვაში ჩართული სტრუქტურები და მათი იერარქია;
- დასახლებული სტრუქტურების უფლებები და მოვალეობები;
- ქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემაში ძირითადი პრობლემები;
- ნარჩენების გატანის გადასახადები, მათ განსაზღვრასა და ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემები, სატარიფო პოლიტიკა;
- კონკურენცია ნარჩენების შეგროვების, გატანის და გაუვნებელყოფის სფეროში;
- ნარჩენების დახარისხებულად შეგროვებისა და მეორადი გადამუშავების შესაძლებლობები;
- სფეროში მიმდინარე და შესაძლო ცვლილებების შეფასება.

1.2 კვლევის ფარგლები

წარმოდგენილი კვლევა შესრულდა მხოლოდ თბილისში (სადაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს) და არ მოიცავს ინფორმაციას საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტებში არსებული ნარჩენების მართვის სისტემის შესახებ.

კვლევა ასევე, შემოიფარგლება მუნიციპალური, ანუ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის შესწავლით და არ ეხება სხვა სახის ნარჩენებს (საყოფაცხოვრებო ნარჩენები შედგება ფიზიკური პირების მიერ მოხმარებისა და საცხოვრებელი ადგილების სანიტარიული დასუფთავების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისაგან, ასევე, იურიდიული პირების მიერ დასახლებული პუნქტებისა და შენობა-ნაგებობების სანიტარიული დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისაგან. საყოფაცხოვრებო ნარჩენები არ მოიცავს ფიზიკური პირების მიერ პირადი საჭიროების მიზნით განხორციელებული სამშენებლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ სამრეწველო ნარჩენებს).

კვლევის მიმდინარეობის პერიოდი დაემთხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს თბილისის ნარჩენების მართვის სისტემაში, როდესაც ძველი ურთიერთობები სხვადასხვა სტრუქტურებს შორის იცვლებოდა, ახალი კი, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. ამის გამო, რესპონდენტების მიერ გამოთქმული აზრი ხშირად ვარაუდის ხასიათს ატარებდა, ზოგიერთი მათგანი მიმართული იყო წარსული ურთიერთობებისა და გამოცდილების აღწერაზე, სხვები კი აზრს იმ ცვლილებებზე გამოხატავდნენ, რასაც ელიან. დასახელებულმა სირთულეებმა ანგარიშშიც კპოვა ასახვა.

1.2 მეთოდოლოგია

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 23 ჩაღრმავებული ინტერვიუ თბილისის სხვადასხვა რაიონის დასუფთავების სამსახურების, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის, საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ასევე სხვადასხვა საწარმოების წარმომადგენლებთან. კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკითხა რაოდენიმე ე.წ. „ბომჟი“ თბილისის სხვადასხვა უბნებიდან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში პირისპირ ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა თბილისში მცხოვრები 600 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოსაკითხი რესპონდენტები შერჩეულ იქნენ შემდეგი პრინციპით:

გამოიკითხა რვა პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, რომლებიც თბილისის სხვადასხვა რაიონების დასუფთავებას ემსახურებიან (დიდუბეჩულურეთის, ისანი-სამგორის, მთაწმინდის, კრწანისის, ვაკის, საბურთალოს, ნაძალადევისა და გლდანის რაიონები). ასევე, გამოიკითხნენ პირები ორი ნაგავსაყრელის (გლდანი, იალღუჯა), ქალაქის ზედამხედველობის და დასუფთავების საქალაქო სამსახურიდან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან, რომლებიც მონაწილეობენ თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვაში.

კვლევამ მოიცვა საწარმოები, რომლებიც საქმიანობაში იყენებენ მეორად ნედლეულს – ქსნის მინის ტარის ქარხანა, თბილისის ქალაქის ფაბრიკა, პლასტმასის გადამამუშავებელი კომპანია „მეტალოპლასტიკი“, ასევე, კომპანიები, რომლებიც შესაძლოა, დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ მეორადი გადამამუშავებით: „კოკა-კოლა“, „ყაზბეგი“, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, „ნაბელლავი“, „ევროპა პლიუს თრეიდინგი“, „ტაო+“, „ელკანა“.

ყველა დასახელებულ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურაში გამოიკითხნენ ხელმძღვანელი პირები. ე.წ. „ბომჟების“ შერჩევის ერთადერთი კრიტერიუმი იყო მათი საქმიანობა თბილისის სხვადასხვა უბნებში.

რაოდენობრივი კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემდეგი პრინციპით: შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმოადგენდა სააღწერო უბანი. სააღწერო უბნების შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი, **Probability Proportional to Size (PPS)** მეთოდის გამოყენებით. შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენდა ოჯახი. ოჯახების შერჩევა განხორციელდა ე.წ. “შემთხვევითი ხეტიალის” მეთოდით. შერჩევის საბოლოო ერთეულს წარმოადგენდა რესპონდენტი. რესპონდენტი ოჯახში შეირჩა ბოლო დაბადების დღის პრინციპის გამოყენებით.

2. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემა და ნარჩენების მართვაში ჩართული სტრუქტურები

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვაში ჩართული სტრუქტურები, მათი იმპარჩია და მოვალეობები

თბილისის მერიის დასუფთავების სამსახური

ქალაქ თბილისში მუნიციპალური ნარჩენების მართვის მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურია, რომელიც 2006 წლის 1 ივლისს შეიქმნა. მის ფუნქციებში შედის როგორც ქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ორგანიზება, ასევე ნაგავსაყრელების მართვა. ამ თვალსაზრისით მერიის დასუფთავების სამსახურმა შეითავსა ის ფუნქციები, რომლებსაც ადრე რაიონული გამგეობების კეთილმოწყობის განყოფილებები და მერიის კეთილმოწყობის სამსახური ასრულებდნენ. მერიის დასუფთავების სამსახური თბილისის ცალკეული რაიონების დასუფთავებისათვის ხელშეკრულებით ქირაობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს (შპს-ებს), რომლებიც მათ ქვემდებარე რაიონებში ქალაქის დასუფთავებისათვის აუცილებელ სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებენ. ანალოგიურად, დაქირავებული შპს-ები ახორციელებენ ნარჩენების განთავსება-გაუვნებლების სამუშაოებს ქალაქის ორ ნაგავსაყრელზე - გლდანისა და იაღლუჯას ნაგავსაყრელებზე, სადაც ნარჩენების შემგროვებელ და გამტან შპს-ებს თბილისის მუნიციპალური ნარჩენები გააქვთ.

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური

ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახური 2005 წლის აგვისტოდან აერთიანებს სხვადასხვა პროფილის სამსახურებს: ყოფილი სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს, ქალაქის გარემოსდაცვით სამსახურს და ადმინისტრაციულ ინსპექციას. ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მოვალეობებში შედის ქალაქის ტერიტორიის სანიტარიული მდგომარეობის შესწავლა, ნაგავსაყრელების სანიტარიული მდგომარეობის კონტროლი, ადგილობრივი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება დასუფთავების პროცესის (ნარჩენების შეგროვება-გატანა) მიმდინარეობის შესახებ, ნაგავსაყრელების ფუნქციონირების შესახებ და სხვ.

როგორც მერიის დასუფთავების სამსახური, ისე ზედამხედველობის სამსახური, მათი ფუნქციების ფარგლებში, მაკონტროლებელ ორგანოებს წარმოადგენენ, თუმცა მათი ფუნქციები გამიჯნულია და ერთმანეთს არ კვეთს. დასუფთავების სამსახური ძირითადად ორიენტირებულია ფინანსური და სამართლებრივი მხარეების მოგვარებაზე,

ხოლო ზედამხედველობის სამსახური - სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლზე. მაგალითად, დასუფთავების სამსახური გეგმავს შეიმუშაოს, როგორი უნდა იყოს ჯარიმების სისტემა, როგორ უნდა მოხდეს მისი აღსრულება, ზედამხედველობის სამსახური კი განსაზღვრავს ნორმებს, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს კონტეინერები, მანქანები და ა.შ; ნაგავსაყრელის ექსპლუატაციას ახორციელებს ქალაქის დასუფთავების სამსახური, ზედამხედველობის ორგანოს მუშაობა კი, იმისკენ არის მიმართული, რომ ნაგავსაყრელების ფუნქციონირება მოხდეს სათანადო წესების დაცვით, ისე, რომ ამან საფრთხე არ შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობას.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა დაემთხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემაში. ამ მიზეზის გამო, რესპონდენტები ყველა უწყებაში მხოლოდ ვარაუდებით საუბრობდნენ მათ აწმყო და მომავალ ფუნქციებზე. მათი თქმით, სისტემური ცვლილებები ჯერ განხორციელების პროცესშია, ამიტომ საბოლოოდ შესაძლოა, კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები

ქალაქ თბილისის დასუფთავებას რაიონების მიხედვით რვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემსახურება. კერძოდ:

- ნაძალადევის რაიონი – შპს „ნაძალადევი“;
- მთაწმინდის რაიონი – შპს „თბილსერვისი“ (თბილისი-საარბრიუკენის ერთობლივი საწარმო);
- საბურთალოს რაიონი – შპს „საბურთალოს რაიონის სანიტარიული დასუფთავების სპეცავტომეურნეობა“;
- გლდანის რაიონი – შპს „სანიტარი გლდანი“;
- კრწანისის რაიონი – შპს „სპეცავტომეურნეობა კრწანისი“;
- ვაკის რაიონი – შპს „ვაკე“;
- ისანი-სამგორის რაიონი – შპს „ისანი-სამგორის სანიტარიული დასუფთავების სპეცავტომეურნეობა“;
- დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი – შპს „დიდუბე-ჩუღურეთის სანიტარიული დასუფთავების სპეცავტომეურნეობა“.

აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები შექმნილია რაიონული გამგეობების იმ რგოლის ბაზაზე, რომელიც ასევე ქალაქის დასუფთავებას ემსახურებოდა. ამდენად, მათი ხელმძღვანელების უმრავლესობას აქვს მუნიციპალურ ორგანოში ან უშუალოდ დასუფთავების სამსახურში მუშაობის გამოცდილება. შპს-ების თანამშრომლებს წარმოადგენენ: ადმინისტრაციული პერსონალი, მტვირთავი მუშები, მძღოლები, დამგველები/მეზოვეები, დისტრიბუტორები, მანქანის სარემონტო საამქროების თანამშრომლები. სულ მათი რიცხვი სხვადასხვა შპს-ების შემთხვევაში 200-დან 400 ადამიანამდე მერყეობს.

ქალაქის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი შპს-ების ძირითად მოვალეობებს წარმოადგენს:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა;
- ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მორწყვა, მორეცხვა და მონახვეტის გატანა;
- ურნების მოვლა;
- ხეების დასუფთავება;
- უპატრონო ძაღლების დაჭერა-ლიკვიდაცია.

შპს-ებს შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენები გლდანის ან იალლუჯას ნაგავსაყრელებზე გააქვთ. იალლუჯას ნაგავსაყრელით სარგებლობენ შპს-ები, რომლებიც მთაწმინდის, კრწანისისა და ისანი-სამგორის რაიონების დასუფთავებას ემსახურებიან. დანარჩენ ორგანიზაციებს ნარჩენები გლდანის ნაგავსაყრელზე გააქვთ. ამჟამად მოქმედებს ერთი გადამზიდი სადგური, რომელიც უქმდება. საკუთარი გადამტვირთი სადგურები აქვთ ორგანიზაციებს, რომლებიც საბურთალოს, და ვაკის რაიონის დასუფთავებას ემსახურებიან. მათ ნარჩენები თავდაპირველად შეაქვთ გადამზიდ სადგურებზე, სადაც ნაგავს უფრო დიდი მოცულობის რამოდენიმე მანქანაზე ტვირთავენ, რაც ნარჩენების ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირების ხარჯებს ამცირებს.

შპს-ების წარმომადგენლები განსხვავებულ ინფორმაციას იძლევიან უპატრონო ძაღლების დაჭერის ფუნქციასთან დაკავშირებით. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ მოვალეობებში ეს საქმიანობა აღარ შედის, რადგან ამის წინააღმდეგ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებმა გაილაშქრეს. მეორე მხრივ, არის რაიონები, სადაც შესაბამისი ორგანიზაციები ძაღლების დაჭერასა და ლიკვიდაციას ახლაც აგრძელებენ, მაგალითად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში. ამ რაიონში უპატრონო ძაღლების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მასში სავაჭრო ადგილების სიმრავლე ძაღლების სიმრავლესაც იწვევს. ყოველდღიურად ორგანიზაცია 20-25 ძაღლის დაჭერასა და ლიკვიდაციას ახდენს. ყოველდღიურად, დაახლოებით, იმავე ოდენობის მკვდარი ძაღლების გატანაც უწევთ. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ქუჩაზე მაწანწალა ძაღლის არსებობის შესახებ სამსახურებს მოქალაქეები ატყობინებენ, მაგრამ წინააღმდეგობას უწევენ მათ ცხოველების განადგურებისას. მაწანწალა ძაღლებს იჭერს და გლდანის ნაგავსაყრელზე მიყავს შპს „ვაკესაც.“ ერთ-ერთი შპს-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, 2007 წლის იანვრიდან შპს-ების ფუნქციებში მხოლოდ ცხოველების დაჭერა და მათი ცხოველთა თავშესაფრებში განთავსება დარჩება. შესაძლოა, ძაღლები შემოწმების შემდეგ აიცრან და გამოყენებულ იქნენ ლაბორატორიული დაკვირვებისათვის. გამოკითხული შპს-ების წარმომადგენლები მიესალმებიან ამ გადაწყვეტილებას.

ქალაქის ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსებისა და გაუვნებელყოფის სამუშაოებს ასრულებს ორი კერძო კომპანია ახორციელებს. ამასთან, ორივე ნაგავსაყრელის ადმინისტრაციას, თავის მხრივ, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები კერძო კომპანიებთან, ტერიტორიაზე სადებინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად. ნაგავსაყრელზე მომუშავე შპს-ებში თანამშრომელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია – 11 კაცი გლდანის ნაგავსაყრელზე და 16 კაცი იალლუჯას ნაგავსაყრელზე (მმართველები, დისპეტჩერები, მექანიზატორები, ტრაქტორისტები, მუშები, დარაჯები).

ურთიერთობა საქალაქო სამსახურებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შორის

დედაქალაქის სხვადასხვა უბნების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი შპს-ების მიერ ნაკისრი ვალდებულებების უხეშად დარღვევის ან სისტემატიური შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთ ორგანოს (ქალაქის დასუფთავების სამსახურს) შეუძლია დაქირავებული ორგანიზაციების წინააღმდეგ გარკვეულ სანქციებს მიმართოს. ქალაქის ზედამხედველობის სამსახურიდან თითოეულ რაიონზე მიმაგრებულია ტექნადამხედველები, რომლებიც დადიან უბნებზე და აღრიცხავენ ყველა შესაძლო შეფერხებას ქალაქის დასუფთავებაში. მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დასუფთავების სამსახურს შეუძლია გარკვეული სადამსჯელო ღონისძიებების გატარება, კერძოდ, შპს-ს სრულად არ გადაურიცხოს კუთვნილი თანხა (მაგალითად, თუ ქუჩა არ დაიგავა დროულად ან არ მოხდა ნარჩენების დროულად გატანა).

ამას გარდა, როგორც ქალაქის ზედამხედველობის სამსახური აცხადებს, სანიტარული ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ამოქმედდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამოდენიმე მუხლი ტერიტორიის დასუფთავების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას იმ შპს-ებისთვის, რომლებიც ჯეროვნად ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. უკიდურეს სადამსჯელო ღონისძიებას შპს-ების მიმართ კონტრაქტის გაუქმება წარმოადგენს, თუმცა, ჯერჯერობით, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. ხშირია თანხის “ჩამოჭრის” შემთხვევები სხვადასხვა დარღვევებისათვის, თუმცა, როგორც შპს-ების წარმომადგენლები აღნიშნავენ, დამკვეთი ყოველთვის ითვალისწინებს შემსრულებელი ორგანიზაციის შესაძლებლობებს.

ნაგავსაყრელების საქმიანობასაც ქალაქის დასუფთავების სამსახური აკონტროლებს. კერძოდ, დასუფთავების სამსახური ამოწმებს რამდენად სწორად აღრიცხავენ ნაგავსაყრელზე მომუშავე დისპეტჩერები შემოსულ ნაგვის მანქანებს. რაც შეეხება სანიტარული ნორმების დაცვას, როგორც სამსახურში აღნიშნეს, ამ მხრივ ნაგავსაყრელებზე რთული მდგომარეობაა. პირობების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია კონტრაქტი გააუქმოს ნაგავსაყრელი პოლიგონის ადმინისტრაციასთან. ჯერჯერობით ნაგავსაყრელებზე რაიმე სადამსჯელო ღონისძიებების გატარების ან ფულადი საჯარიმო სანქციების დაკისრების პრეცედენტი არ ყოფილა.

2.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის სქემა - ზოგადი სურათი


დასუფთავების სისტემა

დღეისათვის თბილისში მოქმედებს ნარჩენების შეგროვების კონტეინერული, ბუნკერული და ზარის ტიპის სისტემები. მათ შორის ყველაზე გავრცელებულს კონტეინერული სისტემა წარმოადგენს. ბუნკერული სისტემა ძირითადად ფუნქციონირებს მაღალსართულიან შენობებში, ხოლო ზარის სისტემა თბილისის ძველ უბნებში, რომლებიც ძნელად მისაწვდომია ნაგვის მანქანებისათვის.

კორპუსებში ბუნკერების დაცლის პერიოდი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის და შეიძლება 5-დან 10 დღემდე მერყეობდეს. ნაგვის შემგროვებელი კონტეინერები კი

უნდა დაიცალოს ყოველდღე (ცენტრალურ ქუჩებზე დღეში ორ-სამჯერ). რაც შეეხება ქუჩების დასუფთავებას, დღეისათვის დაგვას ექვემდებარება პირველი და მეორე კატეგორიის ქუჩები. პირველი კატეგორიის (ცენტრალური ქუჩები) იგვება დღეში ორ-ჯერ ან სამჯერ, მეორე კატეგორიის ქუჩები – დღეში ერთხელ. საერთოდ არ იგვება ქუჩები, რომლებსაც არ აქვს ასფალტის საფარი და გადათხრილია.

სად ყრით ნაგავს თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები?




როგორც კვლევამ გამოავლინა, ნარჩენების შეგროვების ყველაზე ეფექტურ სისტემას კონტეინერული სისტემა წარმოადგენს, ყველაზე არაეფექტურად კი, ბუნკერულ სისტემას თვლიან. ბუნკერებიდან ნარჩენების გატანა უფრო რთულია, ვიდრე კონტეინერების შემთხვევაში. ამას გარდა, ვერ ხერხდება ბუნკერების დეზინფექცია, რის გამოც, ბუნკერი მუდმივი ანტისანიტარიის კერაა და ხელს უწყობს მწერებისა და მღრღნელების გავრცელებას. ბუნკერული სისტემა სრულიად გაუქმებულია გლდანში. შპს „სანიტარი გლდანი“-ს წარმომადგენელი აცხადებს, რომ ამან გაამართლა, რადგან კორპუსებში შემცირდა ვირთხების რაოდენობა.

ბუნკერული ტიპის სისტემის ერთადერთ დადებით მხარედ სახელდება ის, რომ მაღალსართულიანი კორპუსების მცხოვრებლებს ნარჩენების გადასაყრელად ეზოში ჩასვლა არ უწევთ. თუმცა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ბუნკერული სისტემით მიყენებული დისკომფორტი – ანტისანიტარია და სუნი, გაცილებით მეტია. ამას ისიც ემატება, რომ ბუნკერთან მიახლოება მუშებისთვის ზოგჯერ ფიზიკურად შეუძლებელია, რადგან ზოგიერთი მოსახლე მანქანას ძალზე მოუხერხებლად აყენებს.

კონტეინერის უპირატესობა ის არის, რომ იგი ადვილად ირეცხება და ადვილად უტარდება დეზინფექცია. თავდახურული კონტეინერიდან არ ხდება ნაგავის მიმოფანტვა.

ნაგვის გატანის რომელ სისტემას ანიჭებთ უპირატესობას?



როგორც კვლევის მონაცემი ცხადყოფს, გამოკითხული მოსახლეობაც უპირატესობას კონტეინერს ანიჭებს, მაგრამ როგორც შპს-ების წარმომადგენლები აღნიშნავენ, არავის უნდა კონტეინერი მისი სახლის წინ დაიდგას. ეს პრობლემა მოუგვარებელია მანამ, სანამ ისინი ნარჩენებს არა კონტეინერში, არამედ მის გარეთ ყრიან. ამას ისიც ემატება, რომ ნაგვის შემგროვებელ კონტეინერებთან მუდმივად ყრია სამშენებლო ნარჩენები. მნიშვნელოვანია იმ რესპონდენტების რაოდენობაც, რომლებსაც ნარჩენების გატანის ზარის სისტემა მოსწონთ (37.8%).

თბილისის თითქმის ყველა რაიონში გარკვეულ მონაკვეთზე შემორჩენილია ზარის სისტემა. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ზარის სისტემა შედარებით ამართლებს იმ რაიონებში, სადაც ვიწრო ქუჩებია, თუმცა ამ სისტემასაც ახლავს პრობლემები. სირთულეები განსაკუთრებით თავს იჩენს ქალაქის განაპირა რაიონებში, სადაც კერძო დასახლებებია და მოსახლეობას შინაური ცხოველებიც ჰყავს. რესპონდენტი შპს-დან, რომელიც ისანი-სამგორის რაიონის დასუფთავებას ემსახურება, ზარის სისტემის ნაკლს ასე აღწერს: საკუთარ სახლებში ხშირად ჰყავთ შინაური ცხოველი და ფრინველი, აქვთ გაცილებით მეტი და სპეციფიური ნარჩენი, ვიდრე კორპუსების მცხოვრებლებს (თივა, ნაკელი და სხვა). შედეგად, სამი-ოთხი ოჯახისგან შეგროვებული ნაგავი საკმარისია ერთი მანქანის გასაგდებად. მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვს, რომ ნაგვის მანქანამ საოჯახო ნარჩენებთან ერთად ზემოთ დასახლებული ნარჩენებიც გაიტანოს. ნაგვით დატვირთული მანქანა იძულებულია რამოდენიმეჯერ მიაკითხოს ქუჩას, მაგრამ დღის განმავლობაში ყველას შემოვლას ვერ ასწრებს. ამის გამო, მოსახლეობაც უკმაყოფილო რჩება და მომსახურე შპს-ც.

სხვა რესპონდენტებისგან რამდენადმე განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენელი. იგი ფიქრობს, რომ თითოეული სისტემა გარკვეული აუცილებლობით არის გამოწვეული. ზარის სისტემა, მაგალითად, ამართლებს რაიონებში, სადაც არ არის კორპუსის ტიპის დასახლებები. ზოგიერთ უბანში კი, დასუფთავების სამსახური აპირებს დაარიგოს დიდი ტევადობის კონტეინერები და წინასწარ მოხდეს შეთანხმება მოსახლეობასთან, თუ რა სიხშირით დაიცლება ისინი.

რესპონდენტმა შპს „სპეცავტომეურნეობიდან“, რომელიც საბურთალოს რაიონს ემსახურება, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ნარჩენების შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემები მოსალოდნელია ახლადაშენებულ კორპუსებშიც. მან მაგალითად მოიყვანა ახლადაშენებული კორპუსები სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლებსაც არც ბუნკერები აქვთ და არც მითითებული ადგილი, სადაც ნაგვის შემგროვებელი კონტეინერები უნდა დაიდგას. ორგანო, რომელიც ამ სახლების გეგმას ამტკიცებს, ამ საკითხით საერთოდ არ ინტერესდება.

დღეისათვის ქალაქის დასუფთავებაში ჯერ კიდევ ხშირია შეფერხებები. ამას თავად შპს-ებიც აღიარებენ და მიზეზად კადრების სიმცირესა და ტექნიკის სიძველეს ასახელებენ. ნარჩენების შეგროვებასა და გატანასთან დაკავშირებით ხშირია პრეტენზიები როგორც თბილისის მცხოვრებთა, ისე შპს-ების მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან.

კვლევის დასრულების ეტაპზე სხვადასხვა შპს-ებმა უკვე დაიწყეს ახალი ტექნიკის გამოყენება, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტმა შემოიყვანა. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ამან გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო, რაც თბილისში განსაკუთრებით საღამოს საათებში იგრძნობა (მაგალითად, სუფთა და შამპუნით მორეცხილი ქუჩები, სასიამოვნო სურნელი და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ახალი ტექნიკის ექსპლუატაციის გამოცდილება ძალიან მწირია და მათი მუშაობის შეფასება შპს-ების წარმომადგენლებს მაინც უჭირთ. ამასთანავე, ზოგიერთ გამოკითხულს აქვს ინფორმაცია, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული მანქანები საკმაოდ ძველია და შესაძლოა, მალე გამოვიდეს მწყობრიდან.

ნაგავსაყრელები

ამჟამად ქალაქს ორი – გლდანისა და იალღუჯას ნაგავსაყრელები ემსახურება.

გლდანის ნაგავსაყრელს დიდი ტევადობა აქვს. იგი 10 წელიწადზე მეტია მოქმედებს და მხოლოდ 1000 კვადრატული მეტრია ათვისებული. მისი მოქმედების ვადა არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სისწრაფით გაივსება ნაგავსაყრელი.

პოლიგონზე ყოველდღიურად შედის დაახლოებით 250 მანქანა ნარჩენი, რაც 2400 კუბურ მეტრამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენს შეადგენს. შემოსული ნარჩენების ოდენობა სისტემატიურად აღირიცხება, რამდენადაც სწორედ ამით განისაზღვრება ნარჩენების შემგროვებელი კომპანიების და თავად ნაგავსაყრელზე მომუშავე შპს-ების ბიუჯეტი.

პოლიგონზე შეტანილი ნარჩენები იწინებება და ხევში ტრაქტორებით იზიდება. შემდეგ ხდება სხვადასხვა აალების საწინააღმდეგო საშუალებების შეტანა და მორწყვა კვამლის ჩახშობის მიზნით. ნაგავსაყრელზე ტრაქტორი ტკეპნის და გარკვეულად “აკონსერვებს” ნარჩენებს. ამასთან, ნაგავსაყრელი ორ ნაწილად არის გაყოფილი. როდესაც ერთი მათგანი მუშაობს, მეორეს უკეთდება დეზინფექცია და არ მუშაობს და პირიქით.

გლდანის ნაგავსაყრელისათვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას წყლის ნაკლებობა წარმოადგენს. ნაგავსაყრელი თავად ზრუნავს საკუთარ წყალმომარაგებაზე. წყალი აუცილებელია კვამლის ლოკალიზაციისთვის. ამ ეტაპზე გლდანის ნაგავსაყრელზე კვამლის ლიკვიდაცია ვერ ხერხდება, რამდენადაც წლების მანძილზე დაკონსერვება არასწორად ხდებოდა.

იალლუჯას ნაგავსაყრელი მოქმედებს 12 წელია. მისი საერთო მოქმედების ვადა 30-40 წელს შეადგენს. პოლიგონის ფართობია 3 ჰექტარი. ყოველდღე ნაგავსაყრელზე საშუალოდ 1300-დან 1600 კუბური მეტრი ნარჩენი შედის. ბოლო ორი თვის განმავლობაში საგრძნობლად მოიმატა ნარჩენების რაოდენობამ: თუ მანამდე ნაგავსაყრელზე დღეში შედიოდა დაახლოებით 1200 კუბური მეტრი ნარჩენი, ახლა პოლიგონზე ყოველდღიურად შესული ნარჩენების რაოდენობა აჭარბებს 1700 კუბურ მეტრს.

ნაგავსაყრელი დღეს ძალზე მარტივად არის მოწყობილი. სადრენაჟო სისტემა მოქმედებს, თუმცა ის ძალზე ძველია და მისი მოქმედების ხარისხი ეჭვქვეშ დგას. ნარჩენის კონსერვაცია, იზოლაცია, მიწით დაფარვა და ა.შ. არ ხდება. ნარჩენი იყრება ხევში და ხდება მისი წყლით მორწყვა. თუმცა ტერიტორიის სიდიდის გამო, მასიურად პოლიგონის მორწყვა, ფაქტობრივად, ვერც იალლუჯას ნაგავსაყრელზე ხერხდება. ამდენად, ადგილი აქვს აალებას.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, არცერთი ნაგავსაყრელი არ არის მოწყობილი დადგენილი წესის შესაბამისად - არ არის შემოღობილი, არ ხდება პერიოდულად მიწით გადაფარვა და სხვა, რის გამოც ხშირია თვითაალება, რაც საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მით უფრო, რომ ნაგავსაყრელზე არის პოლიეთილენური და სამედიცინო ნარჩენები. ორივე ნაგავსაყრელზე პრობლემად რჩება სანიტარული მდგომარეობის კონტროლი. პოლიგონზე მოხვედრილი ნარჩენების შემადგენლობა არ ისაზღვრება. იალლუჯას ნაგავსაყრელის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ თანხების სიმცირის გამო პოლიგონზე დეზინფექცია სრულყოფილად ვერ ხორციელდება.

აღნიშნული პრობლემების გამო, რამდენადაც არ ხდება ნარჩენების სწორი განთავსება/გაუვნებელყოფა ნაგავსაყრელ პოლიგონებზე, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ქალაქის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი ფიქრობს, რომ უნდა მოხდეს ნარჩენების უტილიზაცია/დაწვა ან მეორადი გადამუშავება. მისი აზრით, მაგალითად, ნარჩენების დაწვა სპეციალურ ქარხნებში (ენერჯის გამოყოფის მიზნით ან მის გარეშე), ისევე როგორც ნარჩენების გადამუშავება, მნიშვნელოვნად შეამცირებს ნარჩენების ოდენობას.

2.3 მუნიციპალური ნარჩენების მართვის ფინანსური ას- პექტები

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, 1 კუბური მეტრი ნარჩენის გატანის ზღვრული ტარიფი (ღირებულება) განისაზღვრება ქ. თბილისის თითოეული რაიონისათვის ინდივიდუალურად ნარჩენების ზიდვის საშუალო მანძილის მიხედვით. აღნიშნული გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის საკრებულომ დაადგინა, რომ მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებლების ღირებულება 50 კმ საშუალო ზიდვის მანძილის პირობებში შეადგენს თვეში 67.2 თეთრს. საკრებულომ ძალაში დატოვა ნარჩენების გატანა-გაუვნებლების მოსახლეობისთვის დამტკიცებული ტარიფი (40 თეთრი თვეში ერთ სულ მოსახლეზე) და

დაადგინა, რომ მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებლების ღირებულებასა და მოსახლეობისათვის დამტკიცებულ ტარიფს შორის სხვაობა, ასევე ხარჯები 50 კმ-ზე მეტი ზიდვის მანძილისათვის, უნდა დაიფაროს რაიონულ ბიუჯეტებში გათვალისწინებული სუბსიდიების ხარჯზე.

სხვადასხვა რაიონის შპს-ებისთვის კი, ერთი სულის მომსახურების ხარჯი სხვადასხვაა. შესაბამისად, განსხვავებულად სუბსიდირდება სხვაობა მოსახლის მიერ გადასახდელსა და მომსახურების რეალურ ღირებულებას შორის. მაგალითად, ისანი-სამგორის რაიონში შპს-ს ერთი მოსახლის მომსახურება 57 თეთრი უჯდება. სახელმწიფო გამოყოფს 17 თეთრის სუბსიდიას თითოეულ მოსახლეზე; საბურთალოს რაიონში შპს-ს ერთი მოსახლის მომსახურება 70 თეთრი უჯდება. ამ შემთხვევაში სუბსიდია 30 თეთრს შეადგენს. ასევე სახელმწიფო სუბსიდიის ხარჯზე ხდება ქუჩების დასუფთავება და მონახვეტის გატანა.

ქალაქის სხვადასხვა რაიონების დასუფთავებაზე მომუშავე შპს-ების საქმიანობის ანაზღაურება ხდება მოსახლეობიდან ამოღებული გადასახადებით, ბიზნეს სტრუქტურებიდან ამოღებული გადასახადებითა და სახელმწიფო სუბსიდიით. ამ ეტაპზე, ნარჩენების გატანის დაბალი გადასახადისა და გადასახადის გადახდის დაბალი მაჩვენებლის გამო, დაფინანსების ყველაზე სტაბილური წყარო სახელმწიფო სუბსიდიაა.

ამჟამად შპს-ების წარმომადგენლები სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ასეთ პრობლემაზე ამახვილებენ ყურადღებას: შპს-ები იხდიან დამატებითი ღირებულების გადასახადს, რომლის ოდენობა იანგარიშება იმ თანხიდან, რომელსაც შპს-ები თეორიული დაანგარიშებით გადასახადებით უნდა იღებდნენ. რეალური ამოღება გაცილებით ნაკლებია, მაგრამ ეს არ ამცირებს მათ მიერ ბიუჯეტში გადასახდელ თანხას. ამის გამო, პრაქტიკულად, ყველა გამოკითხულ შპს-ს აქვს ბიუჯეტის დავალიანება. რესპონდენტები იმედოვნებენ, რომ ერთიანი ბიუჯეტირების შემთხვევაში, ისინი შეძლებენ მათი კუთვნილი თანხების სრულად მიღებას:

„მაგალითად, მე ყოველ თვე უნდა შემომდიოდეს 113 ათასი ლარი მოსახლეობიდან, რეალურად კი, 35-40 ათასი ლარი თუ შემომივიდა, კარგია. მე სახელმწიფოს დღგ-ს სახით ვუხდი ამ 113 ათასის 18%-ს. ასე ხელშეკრულებაში მიწერია და თანხა სრულად შემომდის, თუ არა, მაინც ფიქსირებულ გადასახადს ვიხდი. ამას ემატება მოგების გადასახადიც და რაც მოსახლიდან შემოდის, ის თითქმის ბიუჯეტის ვალებში მიდის (შპს „სპეცავტომეურნეობა“ - ისანი-სამგორის რაიონი)“.

სახელმწიფო ასევე გამოყოფს ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების აღქვატურ თანხას. 1 კუბური მეტრი ნარჩენის განთავსებისთვის გლდანის ნაგავსაყრელზე სახელმწიფო 36 თეთრს გამოყოფს, ხოლო იაღლუჯას ნაგავსაყრელზე განთავსებისთვის - 47.5 თეთრს. ამდენად ნაგავსაყრელებზე მიმდინარე სამუშაოები მთლიანად სუბსიდირებულია. ხარჯები ძირითადად ნაწილდება სადებინფექციო საშუალებებზე, ტექნიკის შეკეთებაზე, საწვავზე, წყლის მიწოდებაზე და ა. შ.

გარდა ამისა, ბიზნეს სტრუქტურები ხელშეკრულების საფუძველზე იხდიან შესაბამის თანხას პოლიგონზე ნარჩენების განთავსებისათვის. ზოგჯერ პოლიგონზე მოსახლეობა ათავსებს რემონტის, ან სხვა დიდი მოცულობის ნარჩენს, თუმცა როგორც იაღლეუჯას ნაგავსაყრელის წარმომადგენელმა განმარტა, ეს ერთეული შემთხვევებია და ამ მომსახურებაში პოლიგონი მოსახლეს თანხას არ თხოვს.

რამდენადაც სახელმწიფო სუბსიდიების ოდენობა როგორც ნარჩენების გატანის, ასევე ნაგავსაყრელ პოლიგონზე განთავსების სამუშაოებისათვის განისაზღვრება ნარჩენების საერთო რაოდენობით, აუცილებელია პოლიგონზე შეტანილი ნარჩენების აღრიცხვა. ნაგავსაყრელზე ნარჩენის შეტანის აღრიცხვის ფურცლის შედარება ხდება ნაგავსაყრელსა და შპს-ს შორის, რომელიც მოწმდება ბეჭდით. ეს აქტი შემდეგ გადაეცემა მერიის საქალაქო სამსახურს (მაგალითად, რესპონდენტმა შპს-დან, რომელიც ნაძალადევის რაიონის დასუფთავებას ემსახურება, წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვის ფურცელი, სადაც თვეების მიხედვით აღნიშნულია, თუ რამდენი კუბური მეტრი ნარჩენი შეიტანეს თითოეულ თვეს პოლიგონზე).

ნარჩენების რაოდენობაზე ასევე დამოკიდებული ცალკეული თანამშრომლების ხელფასებიც. მაგალითად, ყველა გამოკითხულ შპს-ში, რომლებიც ქალაქის დასუფთავებას ემსახურება, მტვირთავი და მძღოლი მუშების ხელფასი განისაზღვრება მათ მიერ გატანილი ნარჩენების ოდენობით. მეეზოვე\დამგველის ხელფასს განსაზღვრავს მის მიერ დაგვილი ტერიტორიის სიდიდე და კატეგორია.

ამდენად, როგორც გამტანი, ისე პოლიგონზე მომუშავე ორგანიზაციები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ნარჩენების რაოდენობის გაზრდით. თუმცა, როგორც ერთ-ერთი შპს-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ნარჩენების გამტანის მიერ ნარჩენების პოლიგონზე შეტანის სტიმული უნდა მომდინარეობდეს არა მოცულობის გაზრდით პირდაპირი ფინანსური დაინტერესებიდან, არამედ ნარჩენების არალეგალურ ნაგავსაყრელზე განთავსებისათვის მაღალი საჯარიმო სანქციებიდან. დღეისათვის არსებული ურთიერთობები პირდაპირ უწყობს ხელს პოლიგონზე შეტანილი ნარჩენების მაჩვენებლის ხელშეწყობად გაზრდას, ვინაიდან ეს საშუალებას აძლევს ნარჩენების გამტანს დააფიქსიროს მეტი ხარჯი, ხოლო პოლიგონს – მიიღოს დამატებითი დაფინანსება. ლავირების საშუალებას იძლევა მანქანებში ნაგვის მოცულობაც (სავსეა თუ არა მანქანა). როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დასახელებული პრობლემის მოსაგვარებლად პოლიგონებზე სასწორების დამონტაჟება იგეგმება.

3. პრობლემები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

დღეისათვის ნარჩენების სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრობენ როგორც საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები, ისე ამ სისტემაში მომუშავე შპს-ების თანამშრომლები და მოსახლეობა.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემაში ძირითად პრობლემას ფინანსების ნაკლებობა წარმოადგენს. თავის მხრივ, რესურსების სიმწირეს უკავშირდება მოძველებული ავტოპარკი და მუშახელის დენადობა. ასევე, სისტემას სირთულეებს

უქმნის მოსახლეობა და ბიზნეს-სტრუქტურები, რომლებიც არა მხოლოდ არ იხდიან გადასახადს ნარჩენების გატანისათვის, არამედ ნაგვის ქუჩაში დაყრასაც არ ერიდებიან.


ტექნიკის სიძველის გამო, ფერხდება მონახვეტის და საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა. მანქანები ხშირად გამოდის მწყობრიდან. ზოგჯერ ერთსა და იმავე უბანზე რამდენიმე მანქანის გაგზავნა ხდება საჭირო. მუშაობა დილის 6 საათზე იწყება, მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო, მის დასრულებას დროულად (დილის 8 საათისათვის) ვერ ახერხებენ. მოძველებული მანქანებიდან ნაგავი ნაგავსაყრელამდე მიტანამდეც ცვივა.

ყველა შპს-ში, რომლებიც ქალაქის დასუფთავებას ემსახურება, აღნიშნავენ, რომ მოსახლეობისგან საჩივრები ხშირად შემოდის და მათი შინაარსი, ძირითადად, ერთნაირია:

- კორპუსებში პრობლემატურია ბუნკერების არსებობა, რომლებიც არ იცლება დროულად;
- მოსახლეობა პრეტენზიას გამოთქვამს ქუჩებში სამშენებლო ნარჩენების დაგროვების გამო;
- პრობლემატურია მაწანწალა ძაღლების არსებობა;
- პრობლემატურია ბომბების არსებობა ქალაქში, რასაც მოსახლეობა ავტომატურად უკავშირებს ქალაქის დაბინძურებას.

საშუალოდ, კვირაში რამდენჯერ ხდება ბუნკერის დაცლა?

ის რესპონდენტები, რომელთა ოჯახის წევრები ნაგავს ყრიან სადარბაზოს ნაგვის ბუნკერში, გამოკითხულთა 27,3%



რესპონდენტები პრეტენზიებით, ძირითადად, ქალაქის დასუფთავების სამსახურის ცხელ ხაზს მიმართავენ. არის უშუალოდ შპს-ებისადმი მიმართვის შემთხვევებიც. საჩივრებს, ერთგვარად, „სეზონური“ ხასიათი აქვს – მათი რაოდენობა მკვეთრად მატულობს ზაფხულში.

მოსახლეობის უკმაყოფილებაზე საუბრობენ ყველა გამოკითხულ შპს-ში. გამონაკლისს კრწანისის რაიონის დასუფთავებაზე მომუშავე შპს წარმოადგენს. რესპონდენტი ამას იმით ხსნის, რომ უბანი ძირითადად, იტალიური ეზოებისგან შედგება, სადაც კონტეინერული მომსახურებაა. კონტეინერები ყოველთვის დროულად იცლება. ბუნკერები გაუქმებულია. ზოგიერთ მონაკვეთზე არის ზარის სისტემაც.

როგორც შპს-ების წარმომადგენლებმა და ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტეს, მას შემდეგ, რაც ქალაქის მერიამ კომპანიებს ახალი ნაგავშემკრები კონტეინერები და ნაგვის მანქანები გადასცა, სიტუაცია გაუმჯობესდა. თუმცა, კვლევის ეტაპზე გამოკითხულ შპს-ებს პრაქტიკულად არ ჰქონდათ მათი ექსპლუატაციის გამოცდილება.


ფინანსების ნაკლებობა პრობლემებს ქმნის ნაგავსაყრელებზეც. პოლიგონები მოუწყობელია და საჭიროებს შესაბამისი ტექნიკითა და კადრებით აღჭურვას, ეს აუცილებელია იმისათვის, რათა არ მოხდეს ეკოლოგიური საფრთხის შექმნა და საფრთხეში არ აღმოჩნდეს მოსახლეობის ჯანმრთელობა. სადრენაჟო სისტემა მოძველებულია და თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს. ნაგავსაყრელების მუშაობა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

3.1 გადასახადების ამოღება მოსახლეობიდან

მოსახლეობისაგან გადასახადის ამოღების მაჩვენებელი სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაა, თუმცა არსად აღემატება 65%-ს. ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია ვაკის (დაახლოებით, 60%) და საბურთალოს (დაახლოებით, 65%) რაიონებში. ყველაზე დაბალი კი ნაძალადევისა და კრწანისის რაიონებში (დაახლოებით, 25%). გადახდის მაჩვენებელი ყველა რაიონში გაიზარდა მას შემდეგ, რაც შპს-ებმა ხელშეკრულებები გააფორმეს ელექტრო-ენერჯის მიმწოდებელ კომპანია „თელასთან“ და გადასახადის ამოღება მასთან ერთად დაიწყო, თუმცა გადასახადების ამოღება მაინც ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად რჩება.

ზოგადად, თბილისში მოსახლეობიდან გადასახადის ამოღების მაჩვენებელი, დაახლოებით, 50%-ია. თუმცა, განსხვავებულ სურათს ქმნის თავად მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები.

იხდით თუ არა გადასახადს რეგულარულად?



შპს-ებისა და ოფიციალური სტრუქტურებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას იძლევიან თბილისში გამოკითხული რესპონდენტები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (80.4%) აღნიშნავს, რომ ნარჩენების გატანის გადასახადს რეგულარულად იხდის.

პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომლის დახმარებითაც შპს აიძულებს მოსახლეს დაფაროს ნაგვის გატანის საფასური. მიზეზი მარტივია – თუ შპს გადაწყვეტს არ მოემსახუროს რომელიმე მოსახლეს კორპუსში, ეს ნიშნავს, რომ მას არ გააქვს მისი მეზობლების ნარჩენებიც, რომელთა შორისაც თანაბრად შეიძლება იყვნენ პატიოსანი და ურჩი გადამხდელები.

რესპონდენტების საერთო აზრია, რომ გადასახადის ამოღებაში „თელასის“ ჩართვამ გაამართლა. შპს-ები აღნიშნულ მომსახურებაში „თელასს“ ამონაგებიდან გარკვეულ პროცენტს უხდიან, მაგრამ როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, გადასახადის ამოღების გაზრდა ამ თანხად უღირთ - „თელასს“ ქვითარი აბსოლუტურად ყველა ოჯახში მიაქვს, სადაც მისი მრიცხველი დგას და ერთგვარად ახსენებს, რომ მათ არა მარტო ელექტრო-ენერჯის, არამედ წყლის და დასუფთავების საფასურიც უნდა გადაიხადონ. ამდენად მოსახლეობას თანდათან უყალიბდება ნაგვის გატანის გადასახადის გადახდის ჩვევა. „თელასი“ უზრუნველყოფს ქვითრების დაბეჭდვას და დარიგებასაც. ნარჩენების გატანის საფასური თავდაპირველად ირიცხება „თელასის“ ანგარიშზე, შემდეგ კი შპს-ს ანგარიშზე იმ თანხის გამოკლებით, რასაც ეს უკანსკნელი მომსახურებაში „თელასს“ უხდის.

თავდაპირველად თანხის ამოღებას სერვის-ცენტრების (ე.წ. სახლმმართველობების) დისტრიბუტორები ახდენდნენ. მათი ამოღებაც არ იყო დიდი, მაგრამ ისინი იყენებდნენ სადამსჯელო ღონისძიებებს – მაგალითად, დავალიანების მქონე მოქალაქეს არ აძლევდნენ სახლმმართველობიდან მოთხოვნილ ცნობას. სერვის-ცენტრების გაუქმების შემდეგ შპს-ები დადგნენ დისტრიბუტორების დაქირავებისა და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარების აუცილებლობის წინაშე, რაც მეტ დანახარჯებს მოითხოვდა, ვიდრე „თელასისთვის“ გადახდილი საფასური.

ნარჩენების გატანის გადასახადის „თელასთან“ ერთად ამოღებას მხოლოდ ერთი პრობლემა ახლავს თან: ნაგვის გატანის გადასახადი სულადობით იანგარიშება, „თელასის“ ქვითრებზე მითითებული ოჯახების სულადობა კი ხშირად არ არის სწორი. „თელასს“ ოჯახების სულადობის შესახებ ინფორმაცია “თბილწყალკანალმა” მიაწოდა. იმ ოჯახებში, რომელთა შესახებ წყალსადენს ინფორმაცია არ ჰქონდა, „თელასის“ გადაწყვეტილებით 4 სული ჩაწერეს. ამის გამო, მოქალაქეებს უხდებოდათ მისვლა დასუფთავების სამსახურებში და მონაცემების შეცვლის მოთხოვნა. ამ მიზეზის გამო, ზოგიერთი მოსახლე პრინციპულად ამბობს უარს ნაგვის გატანის საფასურის გადახდაზე.


შპს-ებში დასაქმებული რესპონდენტები ნარჩენების გატანის ტარიფის სიმცირეზეც საუბრობენ. მაგალითად, მათი თქმით, ტარიფში აისახა საწვავის ხარჯი, მაგრამ ტარიფის დამტკიცების შემდეგ საწვავის საფასურმა მნიშვნელოვნად მოიმატა. ამას დაემატება მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ახალი მანქანების მომსახურების ხარჯები, რაც უფრო ძვირი იქნება. ამიტომ, მათი აზრით, ტარიფი აუცილებლად საჭიროებს გადახედვას და რეალურ ხარჯებთან შესაბამისობაში მოყვანას.

კვლევის საწყის ეტაპზე რესპონდენტები უფრო აქტიურად საუბრობდნენ ტარიფის მომატებაზე, თუმცა, კვლევის დასასრულს მათ შედარებით მეტი ინფორმაცია ჰქონდათ მოსალოდნელ ცვლილებებზე სფეროს დაფინანსებისა და ფინანსური რესურსების კონტროლის თვალსაზრისით, ამიტომ ტარიფის თემა არ ყოფილა ძალზე აქტუალური.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა რესპონდენტი მიუთითებს, რომ ნაგვის გატანის გადასახადი მინიმალურია, შპს-ებს საკუთარი შემოსავლების გაზრდის ყველაზე ეფექტურ საშუალებად არა გადასახადის გაზრდა, არამედ ამჟამად არსებული გადასახადის სრულად ამოღება მიაჩნიათ:

„ტარიფის გაზრდამ შეიძლება არა თუ გაზარდოს, არამედ შეამციროს კიდევ ჩვენი შემოსავლები, რადგან პატიოსან გადამხდლებს ბუნებრივად გაუჩნდებათ პროტესტი – „გადასახადს მე ვიხდი და ფასს მე მიმატებ, ნახევარი ქალაქის ნაგვის გადასახადი ჩემს ხარჯზე გინდათ ამოიღოთ?“ (შპს „სპეცავტომეურნეობა“, კრწანისი).

თანახმა ხართ, თუ არა, რომ გადაიხადოთ მეტი თანხა იმისთვის, რომ მოწესრიგდეს დასუფთავების საკითხი ქალაქში?



3.2 ურთიერთობა ბიზნეს-სტრუქტურებთან

მოსახლეობისგან გადასახადის ამოღებასთან ერთად შპს-ებს, რომლებიც სხვადასხვა რაიონების დასუფთავებას ემსახურებიან, აქვთ ბიზნეს-სტრუქტურებთან ურთიერთობის პრობლემაც. ბიზნეს-სტრუქტურებს ევალებათ ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის შპს-ებთან და ნარჩენების გატანის გადასახადის გადახდა რამდენადმე განსხვავებული ტარიფით. რეალურად, პრობლემები იქმნება ბიზნეს-სტრუქტურებთან როგორც ხელშეკრულების გაფორმების, ასევე გადასახადის ამოღების ეტაპზე.

ბიზნეს-ორგანიზაციების მიერ ნარჩენების გატანის ტარიფი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ამაზე ის გარემოება მიუთითებს, რომ გამოკითხული შპს-ების წარმომადგენლები სხვადასხვა თანხებს ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ ტარიფი დგება ურთიერთ-

შეთანხმების საფუძველზე – დაახლოებით გამოითვლება დაგროვებული ნარჩენის მოცულობა და მათი გატანის ღირებულება.

ბიზნეს-ორგანიზაციებისთვის ტარიფის განსაზღვრაში უნდა მონაწილეობდეს როგორც ზიდვის მანძილი, ასევე ნარჩენების ოდენობა და თავად ორგანიზაციის ხასიათი. ბიზნეს-სტრუქტურებისათვის ტარიფის დადგენას ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად მიიჩნევენ ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახური. ამის მიზეზი ის არის, რომ:

- ყველა სტრუქტურაში სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის ნარჩენი გროვდება;
- დასადგენია, კონკრეტულად, რა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება გადაიხადონ ნარჩენების გატანის საფასური სხვადასხვა პროფილის დაწესებულებებმა (მაგალითად, რის მიხედვით უნდა დაფაროს ნაგვის გატანის ხარჯი სასტუმრომ – ფართის, თუ საწოლების ოდენობის მიხედვით);

ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის ტარიფის დაანგარიშების სქემას მკაფიოდ მხოლოდ შპს „ვაკის“ წარმომადგენელი აღწერს (ეს სქემა არ მოქმედებს თბილისის სხვა რაიონებში): ვაკის რაიონი ნაგავსაყრელიდან 78 კმ-ით არის დაშორებული. ამ მანძილის გათვალისწინებით, 1 კუბურ მეტრ ნაგავზე ორგანიზაციას უწევს 11.97 ლარის გადახდა. ამ თანხაში გათვალისწინებულია საწვავის, ხელფასების, მანქანების ცვეთისა და ბიუჯეტის გადასახადები. ნარჩენების რაოდენობის გასარკვევად აუცილებელია, სავაჭრო ობიექტებმა ან დაწესებულებებმა გააფორმონ ხელშეკრულება, რის შემდეგაც მათ ტერიტორიაზე დაიდგება კონტეინერი და გაადვილდება გატანილი ნაგვის მოცულობის დათვლა.

ბიზნეს-სტრუქტურების უმრავლესობა ნარჩენის გატანის გადასახადს საერთოდ არ იხდის და მოსახლეობის კუთვნილი კონტეინერებით სარგებლობს. ზოგიერთი მათგანი კი უარს ამბობს მათ მიერ შეგროვებული ნარჩენის ადექვატური თანხის გადახდაზე და მხოლოდ 3-5 ლარს იხდის. ეს კი ძალზე მცირეა, რადგან რესპონდენტების თქმით, 1 კუბურ მეტრ ნარჩენს საშუალო სიდიდის მაღაზიაც კი 2-3 დღეში აგროვებს, რომელზეც 10 ლარს მაინც უნდა იხდიდეს.

ბიზნეს-ორგანიზაციებთან ურთიერთობის პრობლემებზე ნაკლებად საუბრობენ იმ რაიონებში, სადაც მათი რაოდენობა არ არის დიდი და შპს-ების შემოსავალში ამ გზით მიღებულ შემოსავალს მნიშვნელოვანი წილი არ უჭირავს (მაგალითად, ნაძალადევის, ისანი-სამგორის რაიონები). გაცილებით მეტ პრობლემას აწყდებიან შპს-ები ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, სადაც ბიზნეს-ორგანიზაციების უმეტესობაა განლაგებული, რადგან ამის გამო ისინი მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავენ. მაგალითად, რესპონდენტმა შპს-დან, რომელიც საბურთალოს რაიონის დასუფთავებას ემსახურება, აღნიშნა, რომ ბიზნეს-ორგანიზაციების 70%, რომლებიც მის რაიონშია განლაგებული, ნაგვის გატანის გადასახადს არ იხდის.

გადასახადის ცუდი გადამხდელია ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებაც. ზოგიერთი მათგანის დავალიანება რამოდენიმე ათასი ლარია. რესპონდენტების ინ-

ფორმაციით, ამ დაწესებულებებს შორის გარკვეული ნაწილი უბრალოდ ურჩი გადა-
მხდელია, რომელთაც აქვთ საშუალება ნაგვის გატანის მიზერული გადასახადი გადა-
იხადონ, მაგრამ თანხებს სხვაგვარად ხარჯავენ. ზოგიერთ დაწესებულებას კი არა აქვს
გადასახადის დაფარვის საშუალება. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება საბავშვო ბაღები და
სკოლები.

ბიზნეს-სტრუქტურებთან ურთიერთობის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ არ
არსებობს არანაირი ბერკეტი, რომელიც აიძულებს ბიზნეს-ორგანიზაციას გააფორმოს
ხელშეკრულება დასუფთავების ორგანობებთან. სახელმწიფო კი არ უზრუნველყოფს
ბიზნეს-ორგანიზაციების მომსახურების სუბსიდირებას. მიუხედავად იმისა, რომ საფა-
სურის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს-ს უფლება აქვს საერთოდ არ მოემსახუროს
ბიზნეს-ორგანიზაციებს, რეალურად ამის განხორციელება შეუძლებელია – საწარმოები
მაინც მათ რაიონში დაყრიან ნაგავს (შესაძლოა, პირდაპირ ქუჩებშიც) და, საბოლოოდ,
შპს-ს მაინც მოუწევს მათი მომსახურება. ერთადერთი გზა ბიზნეს-ორგანიზაციების
წინააღმდეგ ნაგვის გატანის გარკვეული ღრით შეფერხებაა, რაც მათ გარკვეულ
დისკომფორტს შეუქმნის.

ბიზნეს-სტრუქტურებთან ხელშეკრულებას დებს ნაგავსაყრელების ადმინისტრაცია.
მაგალითად, გლდანის ნაგავსაყრელს ასეთი ხელშეკრულება აქვს კომპანია
„ენისელთან“. ტარიფი, ისევე როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევებში, ხელშეკ-
რულების საფუძველზე დგინდება.

ერთ-ერთი რესპონდენტის რეკომენდაციით, უმჯობესი იქნება, თუ ყველა ბიზნეს-
სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ საგადასახადო სამსახურიდან და თი-
თოეულს გარკვეული მექანიზმით აიძულებენ ნარჩენების გატანის საფასურის გადახ-
დას (მაგალითად, ფართის მიხედვით). შესაძლოა, შეიქმნას კონკრეტული ორგანიზაცი-
აც, რომელიც ნარჩენების გადასახადების ამოღებასა და ჯარიმებზე იმუშავებს.

3.3 კადრები

დაბალი შემოსავლების გამო შპს-ებს, რომლებიც თბილისის სხვადასხვა რაიონ-
ების დასუფთავებას ემსახურება, უჩნდებათ კადრების მოზიდვის პრობლემა. იმ შემთხ-
ვევაშიც კი, თუ მუშის შესრულებული სამუშაო არ აკმაყოფილებს დამქირავებლის
მოთხოვნას, ეს უკანასკნელი ვერ ათავისუფლებს მას, რადგან არა აქვს იმედი, რომ
სხვის დაქირავებას შეძლებს.

მაგალითად, ძალზე დაბალი იყო მტვირთავი მუშისა და მძლოლი მუშის ხელფასი.
მტვირთავი მუშა თვეში საშუალოდ, 65-70 ლარს გამოიმუშავებდა, მძლოლი მუშა კი –
დაახლოებით 120-დან 160 ლარამდე. თუ დამგველი დაგვის პირველი კატეგორიის
ქუჩას, 2500 კვადრატულ მეტრს, მისი ხელფასი 60 ლარამდეა. მეორე კატეგორიის
ქუჩისათვის დამგველი იგივე ანაზღაურებას იღებს 3 ათასი კვადრატული მეტრის
დაგვისას. ერთი განაკვეთი 2 ათასი კვადრატული მეტრის დაგვას გულისხმობს.

ამასთან, თანამშრომლების დიდი ნაწილი არაქართველია, რომლებიც თბილისთან ახლომდებარე რაიონებიდან არიან. ამდენად მათ თბილისში ბინების დაქირავება უხდებოდათ, ხელფასი კი ძალიან დაბალია. ამის გამო, შპს-ების მოთხოვნებიც მათ მიმართ მინიმალურია. იმისათვის, რომ თანამშრომლების ხელფასი არ იყოს ძალზე დაბალი, შპს-ები ცდილობენ მათ ბევრი საქმე დაავალონ. მაგალითად, დამგველს დღეში საშუალება მისცენ დაგავოს 3 ათასი კვადრატული მეტრი. დამგველებმა საქმის დასრულება დილის რვა საათამდე უნდა მოასწრონ. ხშირად ეს დრო ტერიტორიის დაგვისთვის არ ყოფნით, ამიტომ ისინი ჩქარობენ და უხარისხოდ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. რესპონდენტების აზრით, ხელფასების გაზრდა ამ პრობლემასაც მოაგვარებს.

არის ასეთი შემთხვევებიც: ზოგჯერ ბევრი მუშა ერთი და იგივე სოფლიდან ან რაიონიდან არის. როდესაც აღნიშნულ სოფელში ან რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება (რელიგიური დღესასწაული, დაკრძალვა), ყველა მუშა ერთად მიდის შინ. ეს იწვევს მუშახელის ნაკლებობას.

კვლევის დასრულების ეტაპზე ზოგიერთი შპს-ს წარმომადგენელი უკვე აღნიშნავდა, რომ შპს-ების თანამშრომლების ხელფასებმა მოიმატა.

3.4 არაკონკურენტული გარემო ნარჩენების მართვის სფეროში

ნარჩენების მართვის სისტემის განვითარებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ნარჩენების მართვის სფეროში არ არის კონკურენცია. პერიოდულად საკითხით ინტერესდებიან არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური კომპანიებიც, მაგრამ ბევრი მათგანი აღნიშნულ სისტემაში მონაწილეობაზე საბოლოოდ უარს ამბობს, რადგან:

- თბილისი რთული განაშენიანების მქონეა. მტკვრის ხეობაში ქალაქი გაშენებულია 45 კილომეტრის მანძილზე და რთული მოსავლელია;
- არის სხვადასხვა ტიპის დასახლებები. მაღალ კორპუსებში ბუნკერული სისტემა რთული მოსავლელია;
- გადასახადის ამოღების მაჩვენებელი დაბალია, რის გამოც საქმე არარენტაბელურია.

ამასთანავე, უცხოური კომპანიები მომსახურების სანაცვლოდ მაღალ საფასურს ითხოვენ, რისი დაკმაყოფილებაც თბილისის მუნიციპალიტეტს არ შეუძლია.

ყველა რესპონდენტი თანხმდება იმაზე, რომ ზოგადად ნარჩენების ბიზნესი მთელს მსოფლიოში პერსპექტიულია, მაგრამ ადეკვატური დაფინანსების გარეშე იგივეს მიღწევა საქართველოში შეუძლებელია. პრაქტიკულად, ყველა შპს-ს, რომლებიც თბილისის სხვადასხვა რაიონების დასუფთავებას ემსახურება, ჰქონდა ან აქვს სახელმწიფოს ვალი იმის გამო, რომ მოსაკრებლის სრულად ამოღება ვერ ხერხდება. მაგალითად, შპს „სპეცავტომეურნეობაში“ (კრწანისი) აღნიშნეს, რომ ორგანიზაციამ ბანკიდან ორჯერ გამოიტანა სესხი იმისათვის, რომ სახელმწიფოსთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხადა და მუშაობა გაეგრძელებინა.

ნარჩენების სფეროში არაკონკურენტულ გარემოზე მეტყველებს ტენდერების მიმდინარეობის ხასიათიც. შპს-ების წარმომადგენლების განცხადებით, უკანასკნელად ტენდერი 2006 წლის გაზაფხულზე ჩატარდა. ტენდერის პირობებზე კონკრეტულად ისინი ვერ საუბრობენ. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ უბრალოდ, შეიტანა განაცხადი და პირობებს დეტალურად არ გაცნობია. ზოგადი მოთხოვნები იყო, რომ ქუჩები უკეთ დაიგავოს და მოირწყას, ნარჩენების გატანა მოხდეს ოპერატიულად და ქალაქს ახალი ტექნიკა მოემსახუროს. რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ რომ ტენდერებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვთ, რამდენადაც ტენდერის პირობების დაკმაყოფილება შპს-ებს მათ ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით ძალიან გაუჭირდებოდათ.

ამჟამად შპს-ებს მოკლევადიანი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული დასუფთავების სამსახურთან. რესპონდენტები ახალი ტენდერის გამოცხადებას შემოდგომაზე ელიან, რომლის საფუძველზეც კომპანიები ხუთწლიანი ვადით შეირჩევა. რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ თუ ქალაქის დასუფთავების სამსახური მათ გრძელვადიან ხელშეკრულებებს გაუფორმებს, ისინი ტექნიკის გაუმჯობესებასაც შეძლებენ, რაც ვერ ხერხდება მოკლევადიანი ურთიერთობის პირობებში.

დაბალი კონკურენციაა ნაგავსაყრელი პოლიგონების მართვის საქმეშიც. გლდანის ნაგავსაყრელზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ძალას” წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტენდერის დროს ბევრი პრედენდენტი არ ყოფილა, რადგან საქმე მაღალშემოსავლიანი არ არის. რესპონდენტები იმედოვნებენ, რომ ერთწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ ისინი კვლავ შეძლებენ ტენდერში გამარჯვებას და საქმიანობის გაგრძელებას.

ნარჩენების სფეროში კონკურენციის არარსებობას რესპონდენტები იმით ხსნიან, რომ „ნარჩენების სფეროში მუშაობა არასასიამოვნოა, ამიტომ ამის ამბიცია არავის აქვს”. რესპონდენტების აზრით, პოლიგონი უცხოელ ინვესტორებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დააინტერესებს, თუ შეიქმნება გადამამუშავებელი წარმოება. მაგალითად, ნაგავსაყრელზე არსებული ნედლეული შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს გაზის, ელექტროენერჯის, სასუქის და ა.შ. მისაღებად. გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალი ტექნიკის შემოყვანა მომავალში სრულიად შეცვლის სატენდერო პირობებს. გარდა ამისა, გაიზრდება კონტროლი ზედამხედველი ორგანიზაციისაგან.

მცირე ხნის წინ იაღლუჯის ნაგავსაყრელთან თანამშრომლობის სურვილი იაპონელმა ინვესტორებმა გამოთქვეს. მათი მიზანია, ნარჩენების გადამამუშავება ენერჯის მიღების მიზნით. ეს მოლაპარაკება ადრეულ სტადიაზეა.

3.5 მოსახლეობის ცნობიერების დონე

დასუფთავების ორგანოების წარმომადგენლები ასევე გადაულახავ წინააღმდეგობად მიიჩნევენ მოსახლეობის თვითშეგნების დაბალ დონეს. რაიონებში, სადაც უკვე დაიდგა თავდახურული კონტეინერების მცირე რაოდენობა, რესპონდენტების ინფორ-

მაცით, მოსახლეობა მაინც კონტეინერთან ყრის ნაგავს – ზოგიერთს თავსახურის ახდა ეზარება, ზოგიერთი ბავშვებს ატანს ნარჩენებს, რომლებიც კონტეინერის თავსახურს ვერ წვდებიან და ა.შ.

ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური შპს-ებისთვის სამშენებლო მასალებისა და რემონტის შემდეგ დარჩენილი ნარჩენების გატანაა. მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების შემგროვებელ და გამტან შპს-ებს მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ევალებათ, მოსახლეობა კონტეინერებში საყოფაცხოვრებო ნარჩენთან ერთად ყრის სამშენებლო მასალებს, ტოტებს და სხვას. არის შემთხვევები, როდესაც რემონტის შედეგად დაგროვილ ნაგავს მაღალსართულიანი კორპუსების მცხოვრებლები პირდაპირ ბუნკერში ყრიან. ბუნკერებიდან სამშენებლო მასალის გამოტანა და მანქანებზე განთავსება კი სერიოზულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ზოგჯერ მოსახლეობა სხვადასხვა ტიპის ნარჩენს პირდაპირ მანქანებიდან და ფანჯრებიდანაც ყრის. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და სამშენებლო მასალების შერევა საფრთხეს უქმნის იმ ტექნიკას, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტმა შემოიყვანა. ეს მანქანები ახდენენ ნარჩენების დაქუცმაცებას, მათში სხვადასხვა ტიპის ნარჩენის შერევამ კი შეიძლება ისინი მწყობრიდან გამოიყვანოს. კონტეინერებს მუშების დაუხმარებლად მანქანები ცლიან საბარგულზე, სადაც ხდება ნარჩენის დაქუცმაცება და დაპრესვა. მანქანებს აქვს რამდენიმე სახის მაკონტროლებელი დამცავი სისტემა. მაგალითად, არ იღებს კონტეინერს, თუ მისი წონა 500 კილოგრამს აღემატება; იმ შემთხვევაში, თუ კონტეინერში დიდი რაოდენობით რკინა ან მინაა, ირთვება სიგნალი, რომელიც აცნობებს მუშას, რომ ნარჩენების გადამუშავება რთულდება. მიუხედავად ამ სახის დამცავი მექანიზმებისა, მაინც არსებობს საშიშროება, რომ კონტეინერებში მოთავსებულმა არასაყოფაცხოვრებო ნარჩენებმა დააზიანონ მანქანები.

რესპონდენტების ინფორმაციით, 2007 წლის იანვრიდან იგეგმება სარეკლამო რგოლის განთავსებაც სატელევიზიო ეთერში იმის შესახებ, თუ რა სახის ნარჩენები უნდა მოთავსდეს კონტეინერში.


როგორც შპს-ების წარმომადგენლების საუბრიდან ირკვევა, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე, როდესაც მას არასაყოფაცხოვრებო ნარჩენი დაუგროვდება. რესპონდენტების აზრით, ისინი, უბრალოდ, უნდა დაუკავშირდნენ შპს-ს, რომელიც მათი რაიონის დასუფთავებას ახორციელებს და გარკვეული საფასურის სანაცვლოდ მოელაპარაკონ ნარჩენების გატანაზე. ამას ბევრი მოქალაქე სამშენებლო ნარჩენების ღამით გატანასა და ცენტრალურ გზაზე დაყრას არჩევს. შემდეგ ამას სხვები რამოდენიმე შეკვრა ნარჩენსაც თუ დაამატებენ, შორიდან მოჩანს ისე, რომ ცენტრალურ ქუჩაზე ნაგვის გროვა ყრია.

ზოგიერთი მოსახლე სარემონტო სამუშაოების შემდეგ ქირაობს მანქანას, რომელსაც გააქვს სამშენებლო ნაგავი, მაგრამ აღნიშნულ მანქანებს ნაგავი გააქვთ და ისევ კონტეინერებთან ცლიან. მოსახლისთვის, ამ შემთხვევაში, სულ ერთია, თუ ვის გადაუხდის ფულს მომსახურებისთვის, მაგრამ ამით ზარალდება რაიონი. ზარალდება შპს-ც,

რომელსაც ხშირად რამოდენიმე მანქანის გაგზავნა უხდება ამ ნარჩენის შესაგროვებლად და გასატანად. ეს მისთვის დამატებითი ხარჯია.


მოსახლეობის მიერ ქალაქის დაბინძურებაზე არამართო დასუფთავების ორგანოების, არამედ თავად მოსახლეობაში გამოკითხული რესპონდენტებიც საუბრობენ. მათი 59.6% ადასტურებს, რომ მათ სადარბაზოსთან/უბოსთან ყრია ნაგავი, ამის ძირითად მიზეზად კი, ისინი იმას ასახელებენ, რომ „დასუფთავებას აზრი არა აქვს, რადგან მაინც ყველა ყრის” (68%).

თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზი?



გთხოვთ დაასახელოთ ქალაქში ანტისანიტარული პირობების მთავარი მიზეზები

- კომუნალური სამსახურების ცუდი მუშაობა
- კერძო კომპანიების ცუდი მუშაობა
- მოსახლეობის მხრიდან ქუჩების სუბოების დაბინძურება
- ამ სფეროში სადამსჯელო ღონისძიებების არარსებობა
- ქუჩებში არ არის ურნები (ურნების არ არსებობა)
- სხვა
- მიჭირს პასუხის გაცემა



გამოკითხული მოსახლეობისთვის მათი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიტარული მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, კრიტიკულია – ფასდება 4.1 ქულით 11 ბალიან შკალაზე (იხილეთ გრაფიკული ანგარიში). გამოკითხულების 81.5%-ის აზრით, ქალაქის დაბინძურებაში ღონისძიების წილი სწორედ მოსახლეობას მიუძღვის. გამოკითხულების გაცილებით მცირე ნაწილი შემქნილ მდგომარეობაში კომუნალურ სამსახურებსაც ადანაშაულებს (59.2%). ასევე, არაუკანასკნელ მიზეზად სფეროში სადამსჯელო ღონისძიებების არარსებობა სახელდება.

შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. შესაბამისად, პასუხების ჯამი აღემატება 100%-ს. “სხვა”-ში გაერთიანებული ის პასუხები, რომელთა მანქანებელი არ ღემატება 1%-ს.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაზე ეფექტურ საშუალებად საჯარიმო სანქციები სახელდება.

4. ცვლილებები მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში მომუშავე უკლებლივ ყველა რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ბოლო პერიოდში ქალაქის დასუფთავების სფეროში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები მიმდინარეობს. ქალაქის მერია აქტიურად არის დაინტერესებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესებით. ეს, მათი მხრიდან, სფეროში ჩართული სხვადასხვა რგოლებისთვის ქმედით დახმარებაში გამოიხატება. კერძოდ:

- შეიქმნა სპეციალიზებული სტრუქტურა - ქალაქის დასუფთავების სამსახური, რამაც უნდა გააძლიეროს სფეროზე კონტროლი და გაზარდოს სხვადასხვა რგოლებს შორის კოორდინაციის ხარისხი. შექმნილი სამსახური უშუალოდ ქალაქის დასუფთავებას უწევს კურირებას და სხვა ფუნქცია არ გააჩნია. ეს უზრუნველყოფს ყურადღების მეტად კონცენტრირებას დასუფთავების პრობლემებზე.
- მუნიციპალიტეტმა ჩამოიტანა ახალი, დახურული ტიპის ნარჩენების შემაკრები კონტეინერები, ასევე, უცხოური მანქანები ნარჩენების გასატანად და ცოცხ-მანქანები, რომლებიც რეცხავს ქუჩებს. ამას გარდა, იგეგმება სფეროს თანამშრომელთა ხელფასების გაზრდაც.

რესპონდენტები თვლიან, რომ პრაქტიკულად, მუნიციპალიტეტმა ამ ეტაპზე შპს-ების გასაკეთებელი საქმე ითავა და უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე შესრულდა სამუშაოები, რომელთა მსგავსი მოცულობითა და მნიშვნელოვნებით „ბოლო 10 წლის მანძილზე არაფერი გაკეთებულა“.

კვლევის მიმდინარეობის პროცესში შპს-ებმა, რომლებიც სხვადასხვა რაიონების დასუფთავებას ემსახურებიან, მერიის კეთილმოწყობის სამსახურისგან უკვე მიიღეს ახალი ტექნიკა – ნარჩენების გადასაზიდი მანქანები, რომლებიც შპს-ებს იჯარით გადაეცათ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, მათ ტრანსპორტირებასთან ერთად ნარჩენების დაპრესვისა და გადამუშავების შესაძლებლობებიც აქვს. ტექნიკის შევსებას რესპონდენტები 25 აგვისტომდე ელოდებიან.

რესპონდენტების აზრით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ამაღლებს სფეროს პრესტიჟს და მოსახლეობის მოტივაციას შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის. ერთ-ერთი რესპონდენტი იმედს გამოთქვამს, რომ:

„მოსახლეობისთვის ახალი ტექნიკა, კონტეინერები და ერთ უნიფორმაში გამოწყობილი დამლაგებლები ერთგვარი სტიმულია. მათ მუდმივად ჰქონდათ პრეტენზიები დასუფთავების სამსახურებთან, მუშაობის ხარისხის გამო. ამჟამად, ყველა წერტილში დადგმული ახალი კონტეინერი, შამპუნით მორეცხილი ასფალტი, ახალი ნაგავმზიდები, ღამის საათებში დასუფთავებული ქუჩა, უხმაურო დასუფთავება მათში, პირიქით, მაღლიერებას გამოიწვევს და თვითონაც დაგვეხმარებიან სისუფთავის შენარჩუნებაში“.

ზემოაღნიშნული სიახლეების გარდა, რესპონდენტების ინფორმაციით, ქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში იგეგმება შემდეგი ცვლილებები:

- მოსახლეობიდან გადასახადების ამოღებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს მერია, ხოლო შპს-ებთან მოხდება სრული ანგარიშსწორება ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების ოდენობის მიხედვით. ამდენად, შპს-ებს აღარ ექნებათ შეხება მოსახლეობასთან. ისინი პირდაპირ მიიღებენ ანაზღაურებას გაწეული მომსახურებისთვის. როგორც ქალაქის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენელი აღნიშნავს, ამ ცვლილებების შემდეგ დასუფთავების სამსახური გაცილებით მეტს მოითხოვს შპს-ებისგან. მუნიციპალიტეტის მიერ გადასახადის ამოღების საკუთარ თავზე აღებას მიესალმება უკლებლივ ყველა გამოკითხული რესპონდენტი. ისინი იმედოვნებენ, რომ ამ შემთხვევაში, საკუთარი დანახარჯების სრულად ამოღების შეძლებენ.
- ამგვარად, სახელმწიფო თანხას ისევ გასატანი ნარჩენების მოცულობის მიხედვით გამოყოფს. ამასთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი იქნება ზიდვის მანძილი. თუმცა, ზუსტად დასადგენია რამდენ კუბურ მეტრ ნარჩენს შეადგენს ერთი ტონა ნარჩენი, რამდენ ბუნკერს და კონტეინერს ემსახურებიან და ა.შ. ასევე, არსებობს საშიშროება რომ შპს-ებმა პოლიგონზე შეიყვანონ მანქანები, რომლებიც არ არის სავსე ან დაცალონ ნახევრად სავსე კონტეინერი. ამის თავიდან ასაცილებლად პოლიგონებზე დამონტაჟდება სასწორები, რომელზეც ნაგავსაყრელზე შემსვლელი ყველა მანქანა აიწონება.
- ქალაქის დასუფთავების სამსახური თავად ამოიღებს გადასახადებს ბიზნეს სტრუქტურებიდანაც, ვინაიდან შპს-ები მათ ხელთ არსებული რესურსებით ამას ვერ ახერხებენ.
- დაიწყო შპს-ების თანამშრომლების ხელფასების გაზრდა. სამომავლოდ, იგეგმება წარჩინებული მუშების წასახალისებლად დააჯილდოვებაც (მაგალითად, ფულადი პრემიებით). შპს-ების წარმომადგენლების ინფორმაციით, 2007 წლის 1 აგვისტოდან თანამშრომლების საშუალო ანაზღაურება დამკველებისთვის შეადგენს - 200 ლარს, მტვირთავი მუშებისთვის - 350 ლარს, მძღოლი მუშებისთვის - 500 ლარს.
- სამშენებლო ნარჩენის დაგროვების შემთხვევაში, მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს შპს-ს ცხელი ხაზით და მას გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ნარჩენების გატანა სთხოვოს. შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ მოსახლე ამის დამადასტურებელ ქვითარს მიიღებს. ეს დამატებითი შემოსავლის წყარო იქნება როგორც შპს-ებისთვის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ერთ-ერთი შპს-ს წარმომადგენლის ინფორმაციით, აღნიშნული მომსახურების შესახებ სარეკლამო რგოლები სატელევიზიო ეთერში 2007 წლის იანვრიდან განთავსდება.
- როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ბიზნეს-სტრუქტურებისთვის, რომლებიც ქალაქს ანაგვიანებენ, ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახური საჯარიმო სანქციების შემოღებას აპირებს. იგეგმება დამატებითი განყოფილების შექმნა, რომლის თანამშრომლებსაც ექნებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენის და იმ ადამიანების

და ბიზნეს-სტრუქტურების დაჯარიმების უფლება, რომლებიც სანიტარიულ ნორმებს არ დაიცავენ. მერიის დასუფთავების სამსახურში ვარაუდობენ, რომ მათი დაფინანსების ძირითადი წყარო სწორედ ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები იქნება (იგულისხმება როგორც მოსახლეობიდან, ასევე შპს-ებიდან მიღებული შემოსავლები). ასევე, სამსახურს ეკოლება 40 ტექნიკური ზედამხედველი.

ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლის ინფორმაციით, დასახლებული ცვლილებები 2007 წლის 1 სექტემბრიდან შევა ძალაში. მალე შედგება სამართალდარღვევის ოქმის ნიმუშიც. თბილისში ახლაც დადის „ოპელის“ მარკის ყვითელი ავტომანქანები, რომლებითაც ქალაქს ტექნიკური ზედამხედველები ქალაქს ამოწმებენ. მათი ფორმა ნარინჯისფერია. ეს იქნება პატრულის მსგავსი ორგანიზაცია, რომელიც ქალაქში სისუფთავეს გააკონტროლებს.

გარდა ამისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მუშაობს რამოდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე:

- ნარჩენების მართვის საერთო სტრატეგიის, კონცეფციის შექმნა (მზად იქნება ამა წლის დასასრულს ან 2007 წლის დასაწყისში);
- საბოლოო სახეს იძენს ეროვნული გეგმა ორგანული დამაბინძურებლების შესახებ. ჰოლანდიის მთავრობამ დააფინანსა ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც კახეთის რეგიონს მთლიანად გაასუფთავებს ორგანული დამაბინძურებლებისაგან;
- გაეროს განვითარების პროგრამასთან ერთად იგეგმება ნარჩენების ინვენტარიზაცია საქართველოს მასშტაბით. ეს გულისხმობს ნარჩენების აღრიცხვას, მათი შემცველობისა და ადგილმდებარეობის დაგდენას და საინფორმაციო ბაზის შექმნას.
- შეიქმნა კანონპროექტი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, რომლითაც განისაზღვრება სხვადასხვა ერთეულების უფლება-მოვალეობები ამ სისტემაში (კანონპროექტი სხვადასხვა სტრუქტურებთან შეთანხმების სტადიაშია).

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქმიანობაში ძირითად პრობლემას კვალიფიციური კადრების სიმცირე წარმოადგენს, თუმცა სამინისტროს წარმომადგენელი თვლის, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარებადია. მაგალითად, სამინისტრომ ჩეხ კოლეგებთან ერთად შეიმუშავა ნარჩენების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგია, ფორმები და აპირებს ექსპერტების დაქირავებას, რომლებიც ადგილობრივ კადრებსაც აუმაღლებენ კვალიფიკაციას.

5. ნარჩენების დახარისხებულად უმბროვების კირსკიმტივები

5.1 ნარჩენების მართვის სისტემაში ჩართული ორგანიზაციები დახარისხებული ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობების შესახებ

ყველა გამოკითხული შპს-ს წარმომადგენელი თანხმდება იმაზე, რომ ნარჩენებში მნიშვნელოვანი რესურსი ხვდება – მინის ბოთლები, პლასტმასის ნივთები, მუყაოს

ყუთები და ა.შ. მათი აზრით, შესაბამისი ტექნიკისა და დაფინანსების შემთხვევაში, შეიძლება მათი დამუშავება მომგებიან საქმედ იქცეს. ამის მიუხედავად, რესპონდენტებს არა აქვთ მკაფიო წარმოდგენა ამ საკითხზე და თვლიან, რომ ეს მაინც სარისკო საქმეა, რომლის განხორციელებაში ლომის წილი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. მანვე უნდა მისცეს სტიმული კერძო კომპანიებს.

ქალაქის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლის აზრით, სასურველია, ნარჩენების დახარისხებას ორგანიზება ისევ შპს-ებმა გაუკეთონ და არა ისეთმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც სფეროსთან არანაირი შეხება არ აქვთ. მით უფრო, რომ შპს-ებს უკვე გააჩნიათ გარკვეული ინფრასტრუქტურა.

შპს-ების წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა რაიონების დასუფთავებას ემსახურებიან, თვლიან, რომ მათთვის დახარისხებული ნარჩენების გატანა მომგებიანი იქნება, თუ შეეძლებათ შეგროვებული მეორადი ნედლეულის გაყიდვა და, ამით დამატებითი შემოსავლის მიღება. ამით მოიგებს სახელმწიფოც, რომელსაც შპს-ები გაყიდული ნედლეულიდან დამატებითი ღირებულების გადასახადს გადაუხდიან. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ნარჩენების მეორადი ნედლეულის სახით ჩაბარება მომგებიანი იქნება, თუ ამ საქმის წილში არ არის სახელმწიფოც, „რადგან ნარჩენებს მუნიციპალური ჰქვია. მეორადი ნედლეულის შეგროვებისათვის მე სახელმწიფოს გადაუხდის დღგ-ს. ესეც ხომ შემოსავალია სახელმწიფოსათვის. მე დაინტერესება უნდა მქონდეს და მეორადი ნედლეულის შეგროვება უნდა მიღირდეს. ევროპაში ასეა, რომ ვინც ნარჩენს აგროვებს, ის მისია“ (შპს „თბილსერვისი“).

ამჟამად ნარჩენების დახარისხებისა და მეორად ნედლეულად გაყიდვის გამოცდილება აქვს მხოლოდ ორ შპს-ს – “თბილსერვისსა” და “ვაკეს.“ ორივე კომპანია აგროვებს, წნებს და ყიდის ქალაქს, როგორც მეორად ნედლეულს. მათი კლიენტი თბილისის ქალაქის ფაბრიკაა.

შპს „ვაკემ“ საკუთარი ხარჯით შეიძინა პლასტმასის საპრესი მანქანაც, რომლის გამოყენება მცირე ხნის წინ დაიწყო. ეს საქმიანობა ახალი დაწყებული აქვთ და ჯერ ჩამბარებული ორგანიზაცია არ მოუძებნიათ, თუმცა ფიქრობენ, რომ კლიენტის პოვნა არ გაუჭირდებათ. რესპონდენტს აქვს იდეა, რომ შეგროვებული პლასტმასით შესაძლებელია იგივე ნაგავშემკრები კონტეინერების დამზადება.

გამოკითხული შპს-ების წარმომადგენლების აზრით, ნარჩენების დახარისხებულად შეგროვება გაზრდის ნარჩენების გატანის საერთო ხარჯებს, ამასთან, საჭირო იქნება დამატებითი კონტეინერების გამოყოფა. თუმცა, მეორეს მხრივ, ისინი დადებით ეფექტებს შორის გამოყოფენ: ნარჩენების ოდენობის შემცირებას; უტილიზაციის გააუმჯობესებას; პოლიგონის „სიცოცხლის ხანგრძლივობის“ გაზრდას; და გარემოს დაბინძურების შემცირებას.

5.2 მოსახლეობის როლი ნარჩენების დახარისხებულად უმუშევრობაში


იმისათვის, რომ ნარჩენების მეორადი მოხმარება ადვილად და ეფექტურად მოხდეს, აუცილებელია ნაგვის დახარისხება არა ნაგავსაყრელებზე, არამედ სახლის პირობებში ან სპეციალურ პუნქტებში ხდებოდეს. ეს შეამცირებს მათ დაბინძურებას და გაზრდის მეორადი გადამუშავებისათვის ვარგისი ნედლეულის წილს.

ყურადსაღებია, რომ ორგანიზაციებში გამოკითხული უკლებლივ ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოსახლეობისგან ნარჩენების დახარისხების მოთხოვნა ნაადრევია. ამ პერიოდისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად ის მიაჩნიათ, რომ მოსახლეობამ ნარჩენების უშუალოდ ბუნკერში ან კონტეინერში მოთავსება ისწავლოს. შემდგომ ეტაპზე კი ისინი უნდა გაათვითცნობიერონ პრობლემაში და ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების აუცილებლობაში დაარწმუნონ. საამისოდ ყველაზე ეფექტურ გზად გადამამუშავებელი წარმოებისა და ჩამბარებელი პუნქტების შექმნა მიაჩნიათ:

„მოქალაქეს ნარჩენების დახარისხებულად შესაგროვებლად უნდა ჰქონდეს სტიმული: ის ამით ან მოქალაქეობრივი პოზიციის გამო უნდა იყოს დაინტერესებული და იცოდეს, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებს ან უნდა ჰქონდეს ფინანსური ინტერესი, დღეს კი შესაბამისი სტიმული არ არსებობს“.


თავად გამოკითხული მოსახლეობის დიდი ნაწილი კი გარკვეულ მზადყოფნას გამოხატავს ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვის მიმართ:

მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ნაგვის დახარისხების სისტემაში?



გამოკითხულები ორგანიზაციებიდან, რომლებიც ქალაქის დასუფთავების სფეროში მუშაობენ, მოსახლეობის კულტურის დონეს მთავარ პრობლემად თვლიან და აღნიშნავენ, რომ „ჩვენ საუკუნე დაგეგმირდება, რომ ნაგვის დახარისხებულად შეგროვება ვისწავლოთ“. ამის მიუხედავად, გამოკითხული მოსახლეობის 66.5% თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ნაგვის დახარისხებულად შეგროვებაში. მათ, ვისაც არ სურს სისტემაში მონაწილეობის მიღება ან არ იცის, როგორ მოიქცევა, ამის ძირითად მიზეზად დროის ფაქტორი მოყავთ - 17.1%.

გეგნებთ თუ არა სურვილი ჩააბაროთ დახარისხებული პროდუქცია სპეციალურ ჩამბარებელ პუნქტებში, თუ ამისათვის დაწესდება შესაბამისი ანაზღაურება?



მოსახლეობაში ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, რომ კორპუსებში ბუნკერები იშვიათად იცლება. გამოკითხულების 37.8% ამბობს, რომ მათ საცხოვრებელ სახლში ბუნკერი მხოლოდ თვეში ერთხელ იცლება. ეს ინფორმაცია რადიკალურად განსხვავდება შპს-ების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციისგან, რომლებიც ამბობენ, რომ ბუნკერებიდან ნაგავი 10 დღეში ერთხელ მაინც გააქვთ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ყველაზე მეტ პრობლემას სწორედ ბუნკერებთან მუშაობისას აწყდებიან.

გამოკითხული შპს-ებიდან მხოლოდ ერთ რესპონდენტს (დიდუბე-ჩულურეთის „სპეცავტომეურნეობა“) აქვს ინფორმაცია, რომ 2007 წლის იანვრიდან, შესაძლოა, დაიდგას რამდენიმე სახის კონტეინერი და მოსახლეობას სთხოვონ გარკვეული ტიპის ნარჩენის გამოცალკეება დანარჩენისგან.

შპს-ების წარმომადგენლების აზრით, გასათვალისწინებელია თბილისის სხვადასხვა რაიონების სპეციფიკაც. მაგალითად, იმ რაიონებში, სადაც ძირითადად კერძო დასახლებებია (მაგალითად, ნაძალადევის რაიონი), მოსახლეობას უგროვდება ისეთი ტიპის ნარჩენი, რაც იშვიათია ცენტრალური რაიონებში – ნაგავი, რომელიც გროვდება ეზოების მოვლისას. შესაბამისად, ნარჩენების რაოდენობა, რომლებიც გამოდგება მეორად ნელეულად, შედარებით მცირეა. განსხვავებულია ვითარება ცენტრალური უბნებში, სადაც განლაგებულია ბევრი სახელმწიფო და კერძო დაწესებულება. ასეთ ადგილებში უფრო დიდი რაოდენობით გროვდება, მაგალითად, ქაღალდი.

5.3 სხვადასხვა კერძო კომპანიები, დახარისხებული ნარჩენების გადაშუაების შესაძლებლობების შესახებ

ნაგავსაყრელზე მოხვედრილი რესურსების მრავალფეროვნებასა და გამოყენების შესაძლებლობებზე საუბრობენ არა მხოლოდ ქალაქის დასუფთავების სისტემაში მომუშავე, არამედ სხვადასხვა კერძო კომპანიებიც, რომლებსაც გარკვეული შეხება აქვთ სფეროსთან ან თავად იყენებენ ნარჩენს საექსპორტოდ. ნაგავსაყრელზე შეგროვებულ ყველა ტიპის რესურსს - პლასტმასი, ჯართი, ტყავი, ფერადი ლითონი (სპილენძი, ოქრო, რომელიც არის სხვადასხვა ტექნიკურ ნაწილებში), მუყაო და ა.შ., საკუთარი მომხმარებელი ჰყავს.

სხვადასხვა სუბიექტების თხოვნით ამ მასალებს ნაგავსაყრელზე „ბომჟები“ აგროვებენ, მაგრამ ამას ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი არა აქვს. ნაგავსაყრელზე არსებული რესურსების ათვისებას ხელს უშლის:

- რისკი, რაც ამ სფეროში ინვესტიციის განხორციელებას ახლავს თან, რადგან იგი სრულიად აუთვისებელია;
- შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობა – ნარჩენების ათვისება, პრაქტიკულად, არ რეგულირდება;
- ნაგავსაყრელზე მომუშავე პოტენციური მუშახელის („ბომჟები“, მათხოვრები) არასანდობა და მათი მხრიდან მოტივაციის არარსებობა;
- ნაგავსაყრელზე შეგროვებული ნარჩენების სიბინძურე, რაც ხშირად უვარგისს ხდის მათ.

ერთ-ერთმა კომპანიამ, რომელიც ერთი წლის მანძილზე ნაგავსაყრელზე შეგროვებულ პლასტმასის ნივთებსა და პლასტიკის ბოთლებს რეცხავდა, ჭრიდა, პრესავდა და საექსპორტოდ გაჰქონდა აზიის ქვეყნებში, ყველა დასახლებული სირთულე საკუთარ თავზე გამოსცადა. რესპონდენტს პრობლემებს უქმნიდა კანონმდებლობის არასრულყოფილება, რომელიც ნარჩენების შეგროვებასა და გატანას არ კრძალავს, მაგრამ არც არეგულირებს. რესპონდენტის საქმიანობის კონტროლს, პრაქტიკულად,

არავინ ეწეოდა. მას ხელშეკრულება ჰქონდა ნაგავსაყრელთან და გარკვეულ თანხას უხდიდა, თუმცა რესპონდენტმა ვერ მოძებნა ურთიერთობის ფორმა ნაგავსაყრელთან, რომელიც ამ უკანასკნელს აიძულებდა, მიღებული შემოსავლის სანაცვლოდ უზრუნველყო ის, რომ რესპონდენტისთვის სასურველი რესურსი ნაგავსაყრელიდან სხვებსაც არ გაეტანათ.

არანაკლებ რთული იყო „ბომჟებთან“ და მათხოვრებთან ურთიერთობა. რესპონდენტის გათვლებით, შესაძლებელი იყო თვეში 60 ტონამდე მასალა გაეტანა საზღვარგარეთ. ამისათვის ტერიტორიაც დაიქირავა, დანადგარებიც შეიძინა (კლიენტების მოთხოვნები მარტივი იყო – მასალა არ უნდა ყოფილიყო ჭუჭყიანი), მაგრამ „ბომჟებს“ არ აწყობდათ რესპონდენტისათვის პლასტიკის ბოთლების შეგროვება. იგი მათ ტონაში მხოლოდ 150-200 ლარს უხდიდა. დიდი ოდენობით პლასტმასის შეგროვება კი საკმაოდ რთულია. „ბომჟების“ ინტერესის სფეროს უფრო მეტად ფერადი ლითონი წარმოადგენს, რომელიც თუმცა უფრო იშვიათად ხვდებათ, მაგრამ გაცილებით ძვირად ფასობს.

ამასთან, კომპანიისთვის შეუძლებელი იყო „ბომჟებთან“ სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება, რადგან მათ უმრავლესობას არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი და „სამუშაო“ ადგილი, არ ჰქონდა პირადობის მოწმობა და სხვა. „ბომჟების“ გარდა კი, ნაგავსაყრელზე მუშაობას არავინ დათანხმდებოდა.

„ბომჟები“ ხშირად ნარჩენებს არა სხვისი დავალებით, არამედ იმისთვის აგროვებენ, რომ უშუალოდ ჩააბარონ ჩამბარებელ პუნქტებს. საჭირო ნარჩენს – მინის ტარას, პლასტმასს, ჯართს, ფერად ლითონს (სპილენძს, თითბერს), გაფუჭებულ სტაბილიზატორებს და ელექტრო-საქონელს – ისინი იღებენ ბუნკერებიდან, ნაგავსაყრელებზე ან აგროვებენ მოსახლეობაში. შეგროვებულ მასალას ისინი სხვადასხვა ჩამბარებელ პუნქტებს აბარებენ. დაახლოებით 100 მინის ბოთლის ჩაბარების ფასი 2-3 ლარია, ერთი კილოგრამი ჯართი კი 7 ლარი ღირს. ყველაზე ძვირად ფერადი ლითონი ფასობს – 7-10 ლარი. შედარებით სტაბილური სახე აქვს მინის ბოთლებს შეგროვებას, რადგან ისინი ბევრი გროვდება. მინის ტარას შემგროვებლები რეცხავენ, რადგან ასეთია ჩამბარებლების მოთხოვნა. ჯართსა და ფერად ლითონს რესპონდენტები უფრო შემთხვევიდან შემთხვევამდე აბარებენ. ჯართთან და ელექტრო-საქონელთან დაკავშირებით ჩამბარებელ პუნქტებს განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვთ.

ნარჩენების რეციკლირებისა და მეორადი გადამუშავების აუცილებლობაზე საუბრობს შპს „ტაო+“-ის ხელმძღვანელი (კომპანია ამზადებს ერთჯერად ცელოფანის პარკებს, რომლებიც ძირითადად, საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება) – რესპონდენტი ფიქრობს, რომ ნარჩენები შეიძლება შეგროვდეს, გადამუშავდეს და გატანილ იქნეს საერთაშორისო ბაზარზე.

ორგანიზაციამ შეიმუშავა გადამამუშავებელი ქარხნის გეგმა და პროექტი, რომელმაც ნარჩენები უნდა ჩაიბაროს. მისი ინფორმაციით, აღნიშნული საკითხით ჰოლანდიელი ინვესტორები იყვნენ დაინტერესებულები. კერძოდ, უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სახ-

ის ნარჩენი, რომლებიც გაირეცხება, გადამუშავდება და შემდეგ მიიღება მეორადი გრანული, რომელზეც საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნაა. ამის მიზეზი ის არის, რომ გრანულის ფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩება პირველადი ნედლეულის ფასს, მეორადი ნედლეულის მოხმარების სფერო კი, საკმაოდ დიდია. ქარხანა უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რადგან ჰოლანდიურ კომპანიას, რომელიც ამ საკითხით არის დაინტერესებული, ევროპის მრავალ ქვეყანაში აქვს დამონტაჟებული იგივე ტექნოლოგია (ახლა პროცესი მიმდინარეობს უკრაინაში). რესპონდენტის გეგმით, საქართველოს ორმოცდაცხრამე რაიონში უნდა გაიხსნას ორ-ორი ჩამბარებელი პუნქტი. შეგროვებულ ნარჩენს თვეში ერთხელ ისინი გადამამუშავებელ ქარხანას მიაწვდიან. ამასთან, რესპონდენტი თვლის, რომ მეორადი გადამამუშავების პროექტი საქართველოში მომგებიანი არ იქნება, თუ მისი სუბსიდირება გარკვეულ ეტაპამდე მაინც საკუთარ თავზე სახელმწიფომ არ აიღო. ქარხანა რენტაბელური დაახლოებით, 5 წლის შემდეგ უნდა გახდეს. სახელმწიფოსათვის ეს საქმე პრიორიტეტული უნდა იყოს, რადგან ნაკლებად დაბინძურდება გარემო.

„სახელმწიფოს სერიოზული დაინტერესების გარეშე ამ საქმის განხორციელება შეუძლებელია, თორემ ჰოლანდიელები გადამამუშავებელი ქარხნით ძალიან დაინტერესებულნი არიან. მათ უნდათ სხვებს დაასწრონ, რადგან იციან, რომ ორი გადამამუშავებელი ქარხანა ქვეყანაში ვერ იმუშავებს – ნარჩენების მოცულობა არ არის იმდენი, რომ ორ ქარხანას იყოს“.

შპს „ტაო+“-ის ხელმძღვანელისგან განსხვავებული აზრისაა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელი. მისი აზრით, დღესდღეობით, წარმოუდგენელია ვინმე დაინტერესებული იყოს ნარჩენებს გადამამუშავებელი ქარხნის დაფინანსებით, რადგან არავინ იცის, რა სახის და რამდენი ნარჩენი გროვდება სახელმწიფოში. მისი აზრით, ეს შეიძლება იყოს გარკვეული კომპანიების მიერ წამოწყებული აქცია, რომლებიც სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში აშენებენ ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხნებს და იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი რესურსი არ ყოფნით, შემოაქვთ და გადაამუშავებენ ნაგავს სხვა ქვეყნებიდან. ამდენად, გარკვეულად დგება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხიც, რომ სახელმწიფოში არ შემოვიდეს უცხო ქვეყნის ნარჩენი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აზრით, გადამამუშავებელ ქარხანაზე საუბარს მხოლოდ მას შემდეგ ექნება აზრი, რაც საქართველოს მასშტაბით განხორციელდება ნარჩენების აღრიცხვა და მათი შემცველობისა და ადგილმდებარეობის დადგენა. ნარჩენების ინვენტარიზაცია შესაბამისი თემით დაინტერესებულ პირებს უკვე კონკრეტულ მიმართულებას მისცემს.

5.4 ნარჩენების შემცირების სხვა კერძოპროექტები

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ნარჩენების შემცირების სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული მეთოდებზე, როგორცაა ნაგავსაყრელზე ნარჩენების გან-

თავსებისათვის ბეგარის დაწესება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის დანერგვა, ნარჩენებზე გადასახადის დაწესება წონის მიხედვით და სხვ.

რესპონდენტების აზრით, ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსების დაბეგვრა (თუ ასეთი რამ მოხდა), აუცილებლად გახდის აქტუალურს ნარჩენების შემცირებას. თუმცა, ნარჩენების შემცირების პერსპექტივა არ მოსწონთ ნაგავსაყრელების მეპატრონეებს, რადგან მათ ინტერესებშია რაც შეიძლება მეტი ნარჩენი შევიდეს პოლიგონზე, რამდენადაც ეს მათ შემოსავლებს განსაზღვრავს. რაც შეეხება ნარჩენების შემცირებას სხვადასხვა მასალების (მაგალითად, შესაფუთი მასალების) წარმოების შემცირების გზით, ეს რესპონდენტებს სასურველად, მაგრამ ამ ეტაპზე არარეალურად მიაჩნიათ, რადგან:

- შესაფუთი მასალების ხარისხის გაზრდა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული;
- შეუფუთავ პროდუქციას მოსახლეობა უნდობლობით ეკიდება;
- ზოგიერთი კომპანია სწორედ შესაფუთი მასალით უწევს კონკურენციას სხვებს.


ნარჩენებზე გადასახადის დაწესებას წონის მიხედვით არ მიესალმება მოსახლეობა:

რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ გადასახადის დაწესება ნარჩენების რაოდენობის მიხედვით?

■ მიზანშეწონილად მივიჩნევ

■ არ ვთვლი მიზანშეწონილად

■ არ ვიცი



ნაგავსაყრელზე არსებული რესურსი ასევე, შეიძლება გამოიყენონ კომპოსტირებისათვის (ორგანული სასუქის წარმოებისათვის) და ენერჯის მიღების მიზნით. საქართველოში ნარჩენების კომპოსტირებას არცერთი კომპანია არ ახორციელებს. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ კი, ერთადერთია, ვინც გლეხებს კომპოსტირებას ასწავლის, თუმცა საკუთარი პროდუქტის სახით კომპოსტის წარმოების გამოცდილება არ აქვს. მის პროგრამას ეწოდება „სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამა“, რაც მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა სასუქის დამზადებას სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების საშუალებით.

ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიზანია, გლეხებისათვის კომპოსტის გამოყენების ჩვევის ჩამოყალიბება, მათთვის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლება ტრენინგების საშუალებით. „ელკანას“ ხუთი კონსულტატი პერიოდულად ჩადის სხვადასხვა სოფლებში და მოსახლეობას უხსნის ნარჩენების კომპოსტად ჩამოყალიბების პროცესის დეტალებს.

„ელკანას“ წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ კომპოსტი ძალზე იაფი და სასარგებლო სასუქია. ნედლეულად გამოიყენება ნებისმიერი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ნარჩენი. გარდა ამისა, ნახერხი, ნაკელი, ფოთლები, ნაცარი, თივა და ა.შ. კომპოსტის გამოყენებით მიღებული პროდუქტები მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთაა, რაც ძვირად ფასობს საერთაშორისო ბაზარზე. საქართველოში კომპოსტზე მოთხოვნა ამჟამად მცირეა, რადგან გლეხების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა არის კომპოსტი. რესპონდენტის თქმით, იმის გამო, რომ გლეხებმა ნიადაგში ნაკელის შეტანის წესებიც არ იციან, ხშირად არასახარბიელო შედეგს იღებენ, რაც ბუნებრივი სასუქების მიმართ უნდობლობას იწვევს. იმისათვის, რომ მოხდეს კომპოსტის მასშტაბური წარმოება, აუცილებელია ნარჩენების დახარისხება – ნარჩენებს შორის უნდა გამოცალკევდეს ორგანული ნარჩენები (მაგალითად, საზღვარგარეთ საახალწლო ნაძვის ხეები ამ მიზნით გამოიყენება). რესპონდენტის ინფორმაციით, კომპოსტის ნიადაგში შეტანა საქართველოში არანაირ ხარჯს არ უკავშირდება, რადგან ყველა სახის სასუქი ნიადაგში მუშახელს შეაქვს და არა ტექნიკას. აღნიშნული მეთოდის დანერგვისათვის ერთადერთ აუცილებლობას ორგანულ სასუქზე მოთხოვნა წარმოადგენს, რაც გლეხებთან სისტემატურ მუშაობას მოითხოვს.

6. მეორადი ნედლეულის გადაამუშავებელი კომპანიები

მეორად ნედლეულს გადაამუშავებს კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორი მსხვილი საწარმო: ქსნის მინის ტარის ქარხანა და ქალაღის ფაბრიკა თბილისში. ორივე იყენებს ნარჩენს, რომელთა შეგროვება შეიძლება როგორც მოსახლეობაში, ასევე სხვადასხვა საწარმოებში. ქსნის მინის ქარხანა ლეწს (მსხვრეულ მინას) იყენებს მეორადი ნედლეულის სახით. ქალაღის ფაბრიკისათვის კი, მეორადი პროდუქცია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან მაკულატურის გარეშე ფაბრიკა გაჩერებულია. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ასევე, ერთი პლასტმასის გადაამუშავებელი კომპანია, რომელიც აწარმოებს პლასტიკის კონტეინერებს.

აღსანიშნავია, რომ ქსნის მინის ტარის ქარხანასა და ქალაღის ფაბრიკას გაცილებით მეტი ნარჩენის გადაამუშავება შეუძლიათ, ვიდრე ღლეს ამის საშუალება აქვთ. მეორადი ნედლეულის არსებობის შემთხვევაში, მინის ტარის ქარხანას შეუძლია გამოიყენოს დაახლოებით, 2-3-ჯერ მეტი ლეწი, ქალაღის ფაბრიკას კი შეუძლია, დაახლოებით, 6-ჯერ მეტი მაკულატურის გადაამუშავება. მეტიც, ამ შემთხვევაში, ქალაღის ფაბრიკა შეძლებს სრული დატვირთვით ამუშავებას.

6.1 ქსნის მინის ტარის ქარხანა

ქსნის მინის ტარის ქარხანა აწარმოებს მინის კონტეინერებს სასმელებისათვის. მისი კლიენტები არიან სასმელის მწარმოებელი მსხვილი კომპანიები. ქარხანა მაღალი ევროპული სტანდარტებით მუშაობს, რამდენადაც ბევრ კომპანიას ნაწარმი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვს და ხარისხზე თავის მოთხოვნებს აყენებს.

ქსნის მინის ტარის ქარხანა მინის წარმოების პროცესში პირველად ნედლეულთან (ქვიშა) ერთად იყენებს მეორად ნედლეულსაც. მეორად პროდუქციას (მინის ტარა, ლეწი) ქარხანას აწვდიან:

- სხვადასხვა წვრილი იურიდიული პირები;
- კერძო პირები;
- მსხვილი კომპანიები („კოკა-კოლა“, „ყაზბეგი“, „ნატახტარი“).

სულ ქსნის მინის ტარის ქარხანასთან მუშაობს ათამდე იურიდიული პირი. მათ შორის რამდენიმე შედარებით სტაბილური მიმწოდებელია. ისინი ძირითადად, სხვადასხვა საწარმოებიდან აგროვებენ ძველ, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ მინის ნარჩენებს.

იმისათვის, რომ ქარხანამ ლეწი მიიღოს, მან გარკვეული პირობები უნდა დააკმაყოფილოს. ძირითადად:

- ლეწი უნდა იყოს სუფთა, მასში ტალახის, ქვის და ა.შ. შემცველობა დასაშვებ ზღვარს არ უნდა აღემატებოდეს;
- ლეწი უნდა იყოს მისაღები ფერის.

ქსნის მინის ტარის ქარხანას მიეწოდება როგორც ბოთლები, ასევე მისი ნამსხვრევები. ქარხანა ლეწს იყენებს და მისთვის ბოთლის დაუზიანებლობა არ არის მნიშვნელოვანი. მეტიც, თუ მინა დამსხვრეულია, ეს ორივე მხარისთვის მომგებიანია, რადგან მანქანა ნამსხვრევს მეტს იტევს, ვიდრე ბოთლს, რომელიც მოცულობით დიდი და დიდ ადვილს იკავებს.

სასმელების მწარმოებელი კომპანიები ქარხანას მხოლოდ იმ ბოთლებს აწვდიან, რომლებიც წარმოების პროცესში ტყდება. თითქმის ყველა დიდი კომპანია - „კოკა-კოლა“, „ყაზბეგი“, „ნატახტარი“ და ა.შ. - მოსახლეობისგან იბარებს მინის ტარას, რომელშიც ხელმეორედ ახდენს ჩამოსხმას. მინის ბოთლის გამოყენება შეიძლება რამოდენიმეჯერ (10 ჯერაც კი), თუ ბოთლმა არ მიიღო დაზიანება, არ განიცადა დეფორმაცია ან სხვა რაღაც მიზეზის გამო გამოუყენებელი არ გახდა.

ბოთლის და ქილის შუშასთან ერთად ქარხანა ყიდულობს ფანჯრის მინასაც. ლეწში შეიძლება იყოს 10%-მდე ფანჯრის შუშა. ასევე, იღებენ მანქანების შუშასაც, თუ მასში არ არის მავთული.

მინა გროვდება რესტორნებში და ბაზრობებზეც, სადაც მინას ჭრიან. ქარხანაში ამბობენ, რომ მათ სავარაუდოდ, აწვდიან ნაგავსაყრელზე შეგროვებულ მინასაც. ეს ქარხნისათვის სირთულეს არ წარმოადგენს, თუ ნედლეული დამაკმაყოფილებლად არის გარეცხილი. თუ მიღების დროს ლეწი ძალიან ჭუჭყიანი არ არის და მისი გარეცხვა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს არ მოითხოვს, მინის ჭუჭყი პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან გარდა იმისა, რომ ქარხანას აქვს მისი რეცხვის გამართული ტექნოლოგია, ლეწი დნება 1500 გრადუსის სიმხურვალის ლუმელში, სადაც ყველანაირი მიკრობი ილუპება.

გამოყენებული ნედლეულის 10-დან 30%-მდე მეორად ნედლეულზე – გარედან შემოსულ ლეწზე მოდის. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდზე და იმაზე, თუ რა ფერის მინაზე მუშაობენ. თუ ქარხანა თეთრი ფერის მინაზე მუშაობს, მეორად ნედლეულს ნაკლებად იყენებენ, რადგან თეთრი ფერის მინის მოპოვება ჭირს და ქარხანას შედარებით ნაკლებად მიეწოდება. გაცილებით დიდი რაოდენობით შედის მწვანე ფერის ლეწი. სირთულეს ქმნის ისიც, რომ თუ ერთ მანქანაში ერთად არის თეთრი და მწვანე ლეწი, მისი გამოყენება უკიდურესად რთულია. ამ ნამსხვრევების ქიმიური შემადგენლობა სხვადასხვაა. ისინი, პრაქტიკულად, სხვადასხვა ნედლეულია. მათი გადარჩევა თითქმის შეუძლებელია. მწვანე ნამსხვრევში შესაძლებელია თეთრის შერევა, მაგრამ არა პირიქით.

რაოდენობრივად, ქარხანა წელიწადში დაახლოებით 3 ათასიდან დან 6 ათას ტონამდე ლეწს მოიხმარს. ამას ემატება საკუთარი წუნი, რომელსაც ქარხანა არ ყრის, არამედ ხელმეორედ უშვებს ლუმელში და ციკლში აბრუნებს. დღევანდელი წარმოების გათვალისწინებით, ქარხანას წლის განმავლობაში შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს 10 ათას ტონამდე ლეწი. უფრო მეტი მეორადი ნედლეულის შექმნის შემთხვევაში რისკი მატულობს – მინა ბევრნაირია და დიდია საშიშროება, რომ მასში არასასურველი მინარევები შეერიოს. შესაბამისად, ქარხანას მეტი დანაკარგი ექნება.

მეორადი ნედლეულის გამოყენებას ამჟამად ქარხნისათვის არანაირი უპირატესობა არა აქვს, რადგან მას ლეწის და ქვიშის შექმნა დაახლოებით ერთი ფასი უჯდება. ამჟამად 1 ტონა ლეწს ქარხანა 82 ლარად ყიდულობს. გასულ წელს 1 ტონა ლეწი 57 ლარი ღირდა, მაგრამ საწვავზე ფასის მომატებასთან ერთად მისმა ღირებულებამაც მოიმატა. იმ შემთხვევაში თუ ლეწი იქნება კიდევ უფრო სუფთა, იმდენად, რომ ქარხანას მისი გარეცხვა მინიმალური თანხა დაუჯდება, ქარხნის ხელმძღვანელობა თანახმაა მომწოდებელს ამჟამინდელზე 10%-ით მეტი გადაუხადოს. ამრიგად, რეცხვაში ეკონომიის ხარჯზე შესაძლებელია გაიზარდოს თავად ნედლეულის შესყიდვის ფასი.

თუ სახელმწიფო მეორადი გადამუშავების წახალისების მიზნით გამოყოფს სუბსიდიებს, ან კომპანიას საგადასახადო შეღავათებს შესთავაზებს, ცხადია, კომპანია კიდევ უფრო დაინტერესდება მეორადი ნედლეულით.

6.2 ქალაქის ფაბრიკა

თბილისის ქალაქის ფაბრიკა აწარმოებს გოფირებულ ქალაქს ყუთებისათვის. მისი პირდაპირი მომხმარებლები გოფრის მწარმოებლები არიან, რომლებიც შემდეგ თავად ყიდიან ქალაქს კვების პროდუქტების მწარმოებლებზე. ფაბრიკა თავადაც აწარმოებს ყუთებს. ფაბრიკის ნაწარმით მარაგდება ნაყინის ქარხნები, ღვინის ქარხნები და ა.შ. სეზონურად ყუთებს უმზადებენ „თბილავიამშენს“ გამათბობლების ჩასაწყობად. ასევე, ამზადებენ ქალაქის პარკებს ცემენტისთვის და ტოლის ქალაქს. ქალაქის ფაბრიკის ძირითად ნედლეულს მაკულატურა წარმოადგენს. მაკულატურის გარეშე ფაბრიკა გაჩერებულია.

მაკულატურა ძირითადად, შემოდის ბაზრობებიდან და მსხვილი კომპანიებიდან („კოკა-კოლა“, „ნაბელავი“ და სხვა). ამას გარდა, ფაბრიკას მაკულატურას სისტემატიურად აწვდის შპს „თბილსერვისი“ და „ვაკე“. იყო მაკულატურის მიღების მცდელობა ნაგავსაყრელიდანაც, თუმცა ამ წამოწყებამ არ გაამართლა, რადგან ნაგავსაყრელზე მაკულატურის სათანადოდ დახარისხება არ ხდებოდა. თანმდევი მინარევები და ჭუჭყი კი ართულებდა მაკულატურის დამუშავებას. წარუმატებელი იყო მაკულატურის მოსახლეობიდან ჩაბარების მცდელობაც, რადგან მაკულატურის ჩაბარების ფასი ძალიან დაბალია – 1 კილოგრამი მაკულატურის ფასი 10 თეთრს არ აღემატება, ამიტომ მოქალაქეს მისი შეგროვება და ფაბრიკამდე ტრანსპორტირება არ უღირს.

მაკულატურის ფასი მერყეობს ხარისხიდან, მიწოდების პირობებიდან და სისტემატიურობიდან გამომდინარე. ერთჯერადად მიწოდებულ მაკულატურას სხვა ფასი აქვს, მაგრამ თუ მიმწოდებელი სტაბილურია, მაშინ ფასის დარეგულირება ხდება. ამ კრიტერიუმების შესაბამისად 1 ტონა მაკულატურის ღირებულება 50-დან 100 ლარამდე მერყეობს. თუმცა, ეს ფასები მაკულატურის ჩაბარების ფინანსურ დაინტერესებას ვერ უქმნის მსხვილ ორგანიზაციებს. მათი ინტერესი მხოლოდ ნაგვისგან გათავისუფლება და ერთგვარი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირება შეიძლება იყოს. ფაბრიკის მანქანა ზოგჯერ თავად აგროვებს მაკულატურას ოფისებიდან, მაგრამ ამას მასიური ხასიათი არა აქვს. ძირითადი პრობლემა მაინც ის არის, რომ დაწესებულებებმა, რომლებიც დიდი ოდენობით ქალაქს მოიხმარენ, უბრალოდ არ იციან ქალაქის ფაბრიკის შესახებ, ამ უკანაქსნელს კი არა აქვს საშუალება იყიდოს სარეკლამო დრო და ორგანიზაციებს თანამშრომლობა შესთავაზოს.

ქალაქის ფაბრიკა ამუშავებს ყველა სახის მაკულატურას. სხვადასხვა ხარისხის მაკულატურისგან ასევე სხვადასხვა ხარისხის და ტიპის ნაწარმი მზადდება. მაგალითად, სხვადასხვა სახის მაკულატურა გამოიყენება გოფირებული ყუთების და ტოლის ქალაქის წარმოებისათვის. სხვადასხვა სახის მაკულატურის შერევით ქალაქის ხარისხი კლებულობს.

ქალაქის ფაბრიკისთვის მაკულატურა რამოდენიმე კატეგორიად იყოფა:

- შესაფუთი ყუთები, რომლებიც რჩება „კოკა-კოლას“, შპს „ომეგას“ და სხვებს. ეს არის მაღალი ხარისხის მასალისგან დამზადებული ყუთები.
- საშუალო ხარისხისაა ბაზრობებზე მოგროვებული ყუთები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ასუფთავებენ და ისე აწვდიან ფაბრიკას. მოწოდებული მაკულატურის დიდი ნაწილი სწორედ საშუალო ხარისხის მაკულატურას წარმოადგენს (საშუალო ხარისხის მაკულატურაში გადის „თბილსერვისის“ მიერ შეგროვებული და დაპრესილი მაკულატურაც).
- დაბალი ხარისხის მაკულატურად ითვლება წიგნები, რადგან ისინი დროთა განმავლობაში იფიტება, მასში ბოჭკოების შეერთების ხარისხი ძალიან დაბალია. ასევე, დაბალი ხარისხის მაკულატურაა ნაგავსაყრელზე შეგროვებული მაკულატურა.

ფაბრიკა იღებს როგორც თეთრ, ასევე ყავისფერ მაკულატურას. მაკულატურა შეიძლება იყოს დაშლილ-დაქუცმაცებული და ტენიანიც. თუმცა იგი რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ფაბრიკამ მისი გადამუშავება შეძლოს:

- ქალაქი არ უნდა იყოს ცელოფიანი (იგულისხმება სპეციალური ხარისხის ქალაქი რომელსაც ცელოფანს აკრავენ);
- ქალაქი არ უნდა იყოს დანაგვიანებული პენოპლასტით. ფაბრიკა აშენდა და მასში დანადგარები დამონტაჟდა 1935 წელს, როდესაც პენოპლასტის წარმოება არ იყო მასიური. დანადგარი ვერ ახდენს პენოპლასტის მოცილებას, რაც აზარალებს ხარისხს.
- მაკულატურას არ უნდა ჰქონდეს ძნელად მოსაცილებელი ჭუჭყი (არ უნდა იყოს ზეთიანი, ცხიმიანი და ა.შ.)

ფაბრიკის მიერ წარმოებულ ყუთებში თავსდება კვების პროდუქტები, რომლებიც უშუალოდ ედება ყუთს (ორცხობილა, ვაფლი და სხვა). ამდენად, ყუთების ხარისხის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, გაშუალებულად, ფაბრიკის კლიენტები არიან მსხვილი საწარმოები, რომელთათვისაც ძალზე მნიშვნელოვანია კარგი რეპუტაცია, შესაბამისად კი, ხარისხი. ყველა მსხვილ მწარმოებელს აქვს ლაბორატორია, რომელშიც ყუთებსაც ამოწმებენ. ფაბრიკის დირექტორი აღნიშნავს, რომ მათ ყუთში არასოდეს აღმოჩენილა რაიმე დაავადების გამომწვევი ჩხირი.

„ამიტომ კლიენტები ჩვენთვის ყველაზე კარგი მაკონტროლებლები არიან. ყველა სანიტარული ნორმა დაკმაყოფილებულია, რადგან ჯერ წყლით ირეცხება ნედლეული, შემდეგ 100-150 გრადუსზე ტარდება და ბაქტერიები ამის შედეგადაც ილუპება“.

დღესდღეობით ყველაზე დიდ პრობლემას ფაბრიკისათვის ნედლეულის ნაკლებობა წარმოადგენს. ქალაქის ფაბრიკა ერთი დღის ერთი ციკლის (12 საათი) მუშაობით აწარმოებს იმ ოდენობის ქალაქს, რომლის მიღებასაც დაახლოებით 4 ჰექტარი ტყე სჭირდება. ფაბრიკა წელიწადში საშუალოდ 2000 ტონა მაკულატურას გადაამუშავებს, თუმცა აქვს 12000 ტონის გადამუშავების პოტენციალი. მთელი წლის მანძილზე მოწოდებული მაკულატურა შეუძლია ორ თვეში აითვისოს. ამდენად ფაბრი-

კა მხოლოდ 15-20% დატვირთვით მუშაობს, თუმცა, მის პროდუქციაზე დიდია მოთხოვნა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, რადგან მსგავსი პროფილის ფაბრიკა სამხრეთ კავკასიაში არ არსებობს. ფაბრიკა კი მოთხოვნას საქართველოშიც ვერ აკმაყოფილებს. თბილისში არსებული საწარმოები, რომლებსაც ქალაქის ფაბრიკა გოფირებული ქალაქით ამარაგებს, ნედლეულს ხშირად დამატებით საზღვარგარეთაც იძენენ.

გარდა თბილისის ქალაქის ფაბრიკისა, არსებობს სხვადასხვა წვრილ-წვრილი საწარმოები (ქალაქის ხელსახოცების ან ტუალეტის ქალაქის მწარმოებლები), რომლებიც მხოლოდ სტამბის მაკულატურას იყენებენ.

6.3 პლასტმასის გადამამუშავებელი კომპანია „მეტალოპლასტიკი“

პლასტმასის გადამამუშავებელი კომპანია „მეტალოპლასტიკი“ აწარმოებს პლასტიკის კონტეინერებს სხვადასხვა სასმელისათვის. მეორადი ნედლეულის (დამტვირთული ყუთები, ტაშტები, ბოთლები, პოლიეთილენის ნარჩენები და სხვა) წილი წარმოებულ პროდუქციაში თითქმის 80%-ს შეადგენს. პირველად ნედლეულს დაბალი და მაღალი წნევის პოლიეთილენის გრანულები. წარმოადგენს. მეორადი ნედლეულის გამოყენება საკმაოდ მომგებიანია, რადგან ეს წარმოების ხარჯებს მკვეთრად ამცირებს. თუმცა, მეორადი ნედლეულით წარმოებული პროდუქციის ხარისხი შედარებით დაბალია. „მეტალოპლასტიკის“ კლიენტები, ძირითადად, გამაგრებელი სასმელების მწარმოებელი წვრილი საწარმოები არიან. მათთვის მეორადი წარმოების პროდუქცია ფინანსურად გაცილებით ხელმისაწვდომია.

მეორადი ნედლეულის მომწოდებლები ძირითადად კერძო პირები არიან, რომლებიც ქუჩებში ან ნაგავსაყრელებზე აგროვებენ ნარჩენებს. თუმცა, რესპონდენტმა საწარმოდან აღნიშნა, რომ ნარჩენების მოპოვება ნაგავსაყრელზე გართულდა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. მინიმალური საფასური, რომელსაც ორგანიზაცია მოწოდებულ 1 ტონა ნარჩენში იხდის, 500-600 ლარია. ჩამბარებელი პუნქტებთან ორგანიზაცია ვერ თანამშრომლობს, რადგან ჩამბარებელი პუნქტებისთვის პლასტიკატის ნაწარმის ჩამბარება არარენტაბელურია ამ სახის ნარჩენის დიდი მოცულობისა და მცირე წონის გამო. ამ თვალსაზრისით ისინი უპირატესობას მინის ბოთლებს ანიჭებენ. მიღებული ნარჩენების გადახარისხება კუსტარულად ხდება. მუშები მათ ხელით არჩევენ. შემდეგ ხდება ამ მასალის გარეცხვა, დაჭრა, დაფქვა და გრანულებად დამუშავება. ნარჩენი დამუშავებას გადის 200-250 გრადუსზე.

ნედლეულის სიმცირე “მეტალოპლასტიკისთვისაც” პრობლემას წარმოადგენს. ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა დღეში 700-800 კგ ნედლეული გადაამუშაოს,

მაგრამ ნედლეულის სიმცირის გამო, ზოგჯერ მთელი თვის მანძილზე ერთი ტონა ნედლეულის გადაამუშავებასაც ვერ ახერხებენ.

6.4 მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების რეკომენდაციები

მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში გამოკითხული რესპონდენტების რეკომენდაციები ასეთია:

- მუნიციპალიტეტმა თავად უნდა გაუწიოს ორგანიზება ნარჩენების შეგროვებას და შემდეგ მის გაყიდვას ქარხნებზე;
- უნდა მოხდეს შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა და დანერგვა;
- ნარჩენების დახარისხებულად შეგროვებას უნდა ახლდეს შესაბამისი პროპაგანდა – ბუკლეტების გავრცელება, სარეკლამო რგოლები და ა.შ;
- გადამამუშავებლებს სახელმწიფომ უნდა გაუწიოს ქმედითი დახმარება;
- ბოთლის ჩამბარებელი პუნქტები და ბოთლის ხელმეორედ გამოყენება უნდა აიკრძალოს კანონით, რაც იქნება პირველი ნაბიჯი ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების გზაზე;

რესპონდენტის ინფორმაციით, ფირმები, რომლებიც სხვადასხვა სასმელს ასხამენ მეორად ბოთლებში, ბოთლებს არ რეცხავენ სტანდარტის შესაბამისად. „ნაკვიდან ბოთლი არა საწარმოში, არამედ ლეწში უნდა მიდიოდეს. ამაზე სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რადგან ეს ქვეყნის და არა კერძო ბიზნესის პრობლემაა. ყველა ბოთლმა აუცილებლად უნდა გაიაროს ხელმეორედ გადამამუშავება, სულ უკანასკნელი, წესიერად უნდა გაირეცხოს მაინც“.

რესპონდენტებს მუნიციპალიტეტის დახმარება სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ – დახმარება ფართის დაქირავებაში, გარკვეული ტექნიკის შეძენაში (მაგალითად, სპეციალური ურნების შეძენა, რომლებიც ავტომატურად პრესავს ქალალს), სესხის მიღებაში, სარეკლამო რგოლების გადაღებასა და ეთერში განთავსებაში (მაგალითად, რგოლები, რომლებშიც საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეები დახარისხებულად ყრიან ნაგავს ურნებში). რესპონდენტების აზრით, ნარჩენების გადამამუშავების პერსპექტივები იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ უხელმძღვანელებს ამ საქმეს. სავარაუდოდ, ამ საქმეს ბევრი ხარჯი ექნება და შესაძლოა, ნარჩენების გადამამუშავება, როგორც ბიზნესი არასოდეს იყოს მომგებიანი. ამიტომ ეს სისტემა სახელმწიფომ უნდა ააწიოს.

კერძო კომპანიები არ გამორიცხავენ საკუთარ აქტიურ როლსაც. მაგალითად, ქალალის ფაბრიკის ადმინისტრაცია თანახმაა საკუთარი ხარჯით დაარიგოს ცელოფანის პარკები, სადაც დახარისხებულ ნარჩენს ჩაყრიან, რადგან ნაგავსაყრელზე მოხვედრის შემდეგ მაკულატურის გამოცალკევება სხვა ტიპის ნარჩენისაგან უკიდურესად რთულია. ამას გარდა, რესპონდენტების აზრით, გადამამუშავებელი საწარმოების დანერგვა

და გაძლიერება როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური პრობლემების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს:

- დასაქმდებიან ადამიანები (მათ შორის, შესაძლოა დასაქმდნენ იგივე „ბომჟებიც“, რომლებიც ისედაც აგროვებენ სხვადასხვა სახის ნარჩენს ნაგავსაყრელებიდან);
- ბიუჯეტი შეივსება დამატებითი შემოსავლებით;
- ქალაქი გათავისუფლდება ნაგვისგან;
- გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა.

ქსნის მინის ტარის ქარხნის გენერალური დირექტორი ასე აღწერს მინის დახარისხებულად შეგროვების გამოცდილებას თურქეთში: დაახლოებით მილიონიან ქალაქში, საშუალოდ 200 ცალი ბოთლის ბუნკერი დგას – მწვანე და თეთრი ბოთლის ბუნკერები ცალ-ცალკე. ამას აქვს ერთგვარი შესაწირის ფორმა მოსახლეობის მხრიდან – მათ მიერ გაღებული თითოეული ბოთლიდან მიღებული თანხა ირიცხება უპატრონო ბავშვების, ინვალიდების, მოხუცების დასახმარებლად. ანალოგიურად, თუ ქსნის ქარხანა იყიდის წელიწადში 10 ათას ტონა ლეწს, იგი თანახმაა ღირებულების ნაწილი მართლაც გაიღოს მათ დასახმარებლად, ვისაც ეს სჭირდება – თუნდაც იმავე „ბომჟებს“, რომლებიც ნაგავსაყრელებზე ბოთლებს აგროვებენ.

6.5 უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები მეორადი გადაშუშავების შესახებ

გამოკითხული სასმელის მწარმოებელი კომპანიები: „კოკა-კოლა“, „ყაზბეგი“, „ნაბელლავი“, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ კონტეინერებს სასმელისთვის არ აწარმოებენ. ამდენად ისინი თითქმის გამორიცხავენ კომპანიაში მათი ნარჩენების მეორადი გადამუშავების დანერგვას.

კომპანიებს – „კოკა-კოლა“, „ყაზბეგი“, „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, „ნაბელლავი“ აქვთ როგორც მინის, ასევე პლასტიკის შეფუთვის ნაწარმი. კომპანია „ყაზბეგი“ ასევე ნაწარმს უშვებს ალუმინის ქილებში. მინის ბოთლების ძირითადი მომწოდებელია ქსნის მინის ტარის ქარხანა. კომპანია „ნაბელლავს“ მინის ბოთლები სომხეთიდანაც შემოაქვს. პლასტიკის ბოთლებისათვის კომპანიები იძენენ სპეციალურ ნედლეულს კაფსულების სახით, რომელიც შემდეგ წნევით იბერება და პლასტიკის ბოთლის სახეს ღებულობს. „ყაზბეგი“ და „მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ აღნიშნულ ნედლეულს ყიდულობენ კომპანიისგან „კაუკაზუს პეტ კომპანი“, რომელიც მდებარეობს რუსთავში. კომპანიებს „კოკა-კოლა“ და „ნაბელლავი“ შესაბამისი ნედლეული უცხოეთიდან შემოაქვთ. რაც შეეხება ალუმინის ქილებს, კომპანია „ყაზბეგი“ ახდენს მათ იმპორტს – ცალკე ბოთლების, ცალკე კი მისი ხუფის. ალუმინის ბოთლები კომპანიას მიეწოდება მზა სახით. ისინი „ყაზბეგში“ არანაირ დამუშავებას არ გადის.

„კოკა-კოლას“ „კოლეგა“ კომპანიამ აზერბაიჯანში თავად დაიწყო პლასტიკის ბოთლების პრეფორმის წარმოება, რომელის გაბერვის შედეგად მიიღება პლასტიკის ბოთლი. იმისათვის, რომ საქართველოშიც დანერგონ იგივე, საჭიროა შესაბამისი ნედლეული, დანადგარები, ტექნოლოგიური პროცესის აწყობა, კადრები და სხვა, რაც თავის მხრივ, დამატებით ინვესტიციებს უკავშირდება. რესპონდენტი ამბობს, რომ ამ თემაზე კომპანიას უშუშავია და არ გამოორიცხავს, რომ რაღაც ეტაპზე აზერბაიჯანელების მსგავსად ისინიც დაიწყებენ პრეფორმის წარმოებას.

რაც შეეხება კონტეინერების ხელმეორედ გამოყენებას, მინის ტარას იბარებს ყველა დასახელებული კომპანია „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის გარდა“. პლასტიკის ბოთლებს კი არ იბარებს არცერთი გამოკითხული კომპანია, რადგან მათში სასმელის ხელმეორედ ჩამოსხმა არ შეიძლება. არ ხდება ალუმინის ბოთლების ჩაბარებაც. კომპანია „ყაზბეგის“ წარმომადგენლის აზრით, მას ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია რომ ალუმინის კონტეინერების შეგროვებით დაინტერესებული იყონ სხვა კომპანიები ან კერძო პირები, რადგან ალუმინის ქილა ძალიან მსუბუქია (10-12 გრამი) და ფიზიკურად რთულია იმ ოდენობის ალუმინის ქილების შეგროვება, რომ მისმა შემგროვებელმა გარკვეული მოგება ნახოს. რესპონდენტი კომპანია „ნაბელლავიდან“ აღნიშნავს, რომ ქალაქში არის რამოდენიმე პუნქტი, სადაც პლასტიკის ბოთლებს იბარებენ. შემდეგ ამ ბოთლებში ხდება ფალსიფიცირებული სასმელის ჩამოსხმა, თუმცა ამ „ბიზნესთან“ ბრძოლის აპრობირებული მექანიზმი არ არსებობს.

კომპანიებში „ყაზბეგი“, „ნაბელლავი“ და „მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ თვლიან, რომ მეორადი გადამუშავება სრულიად სხვა სახის წარმოებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მათ ძირითად საქმიანობასთან. ამასთან, მეორად გადამუშავებას საკუთარი ქარხანა, კარგად გამართული, ძვირადღირებული ტექნოლოგიები და კვალიფიციური კადრი სჭირდება. მათთვის მოსახერხებელია პირველადი პროდუქციის შექმნა, რაც გათვალისწინებულია მათი პროდუქტის თვითღირებულებაშიც. ამიტომ ამ ეტაპზე მეორადი გადამუშავების დანერგვა ამ კომპანიებს, თუნდაც სახელმწიფო სუბსიდიებისა და გადასახადების სანაცვლოდ, არ უღირთ.

ასეთი კატეგორიული არ ყოფილა „კოკა-კოლას“ წარმომადგენელი. მისი თქმით, თუ სახელმწიფო ამ თემით სერიოზულად დაინტერესდება, გამოყოფს სუბსიდიებს, იმუშავებს გადასახადების შემცირებაზე, დაეხმარება კომპანიებს საბანკო სესხების აღებაში და სხვა, კომპანიაში, სავარაუდოდ, შეიქმნება ჯგუფი, რომელიც შეაფასებს წინადადების ფინანსურ მომგებიანობას, განიხილავს პროცესის ტექნიკურ მხარეებს და უფრო კონკრეტულ გადაწყვეტილებას „კოკა-კოლა“ მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს. რესპონდენტი ფიქრობს, რომ დაინტერესება კომპანიის მხრიდან აუცილებლად იქნება, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია კომპანიის სტანდარტები.

რესპონდენტებმა გაიხსენეს, რომ პლასტიკის ბოთლის წარმოებისთვის გადასახადის დაწესების თემა (გარკვეულად, პროდუქტზე გადასახადის შემოღების მცდელობა,

რაც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც ნარჩენების შემცირებისკენ მიმართული ინსტრუმენტი) რამდენიმე წლის წინ იყო აქტუალური. კერძოდ, საუბარი იყო შესაბამისი აქციზური მარკის შემოღებაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა შეთავაზებები არსებობდეს კომპანიებთან. მაგალითად, კომპანიამ შეიძლება უბრალოდ გადაიხადოს გადასახადი თითოეულ წარმოებულ ბოთლზე მეორადი გადამუშავების ფონდში. ან ამ გადასახადისაგან გათავისუფლების სანაცვლოდ შეიძლება ორგანიზაცია გაუკეთოს მომხმარებლის მიერ მეორადი პროდუქციის ჩაბარებას. ამ შემთხვევაში ჩამბარებელს თანხას გადაუხდის მეორადი გადამუშავების სახელმწიფო ფონდი. მსგავს პერსპექტივებთან დაკავშირებით გამოკითხულებს ჯერ-ჯერობით უჭირთ ზუსტი პასუხის გაცემა, რადგან მათი თქმით, ამას სათანადო დაანგარიშება და ანალიზი სჭირდება. „კოკა-კოლის“ წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ კომპანია არჩევს გაუწიოს ორგანიზება მომხმარებლების მიერ მეორადი პროდუქციის ჩაბარებას, თუ იგი გათავისუფლდება შესაბამისი გადასახადისაგან. „ყაზბეგის“ წარმომადგენელი კი პირიქით, ფიქრობს, რომ აქციზური მარკის შემოღება და თითოეულ წარმოებულ პლასტიკის ბოთლზე გადასახადის დაწესება შეიძლება უფრო მისაღები აღმოჩნდეს კომპანიისათვის (თუმცა, ეს გაზრდის პროდუქციის ღირებულებას), ვიდრე მეორადი პროდუქციის ჩაბარების ორგანიზება. იმ შემთხვევაშიც, თუ ჩამბარებელს თანხას უხდის მეორადი გადამუშავების სახელმწიფო ფონდი, კომპანია „ყაზბეგს“ მოუწევს გამოათავისუფლოს ამ საქმიანობისთვის რესურსი (როგორც ფულადი, ასევე ადამიანური). რესპონდენტის აზრით, ამის ორგანიზებას გაცილებით უკეთ შეიძლება ქალაქის მუნიციპალიტეტი.

დასკვნა

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან საერთაშორისო საზოგადოებამ აქტიური მოქმედება დაიწყო ნარჩენების მზარდი პრობლემის გადასაჭრელად იმ მეთოდებისა და მექანიზმების შემუშავებით, რომლებიც მიმართულია ნარჩენების რაოდენობის შემცირებისა და ნარჩენების გაუვნებლების უსაფრთხო ხერხების დანერგვისაკენ. ამგვარად, განვითარებულ სამყაროში მოხდა ნაკლებად პრიორიტეტული მეთოდების (ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება და ინსინერაცია) თანდათანობითი ჩანაცვლება ისეთი მეთოდებით, როგორცაა მეორადი გადამუშავება, პროდუქტის ხელმეორედ გამოყენება და ნარჩენების პრევენცია. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ სტადიაში იმყოფება. როგორც უკვე აღინიშნა, ნარჩენების მართვის სისტემაში არსებული ნაკლოვანებების ძირითად მიზეზებს და სფეროს განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის უპირველესი იყო დაგეგმვის პრობლემა, ისევე როგორც ადმინისტრაციული პრობლემები – ფინანსური, საკადრო, აღსრულება/კონტროლთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. ამას გარდა, აღსანიშნავია მონაცემების სიმცირე, კვლევების არარსებობა, მონიტორინგის სისტემის მოშლა და მოსახლეობის დაბალი ინტერესი გარემოსთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

ამჟამად ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებები შეიძლება ბევრი თვალსაზრისით პოზიტიურად ჩაითვალოს. კერძოდ, შეიქმნა ერთიანი მაკორდინირებელი ორგანო – ქალაქის დასუფთავების სამსახური, რომელიც გააერთიანებს კეთილმოწყობის სამსახურისა და გამგეობის ფუნქციებს. შეიქმნება ერთიანი ბიუჯეტი ნარჩენების გატანის სერვისისათვის, რაც გადაჭრის ფინანსურ პრობლემებს და გამჭვირვალეს გახდის ხარჯთაღრიცხვას. ბიუჯეტის დაქსაქსულობა და ნარჩენებზე გადასახადის ამოღების არასტაბილურობა შესაბამისად აისახებოდა ნარჩენების გამტანი შპს-ების შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ამასთან, შპს-ებს ყოველთვის ჰქონდათ გასამართლებელ ფაქტორად ფინანსების სიმცირე, რაც არასტაბილური ანაზღაურებით იყო გამოწვეული. ბიუჯეტის გაერთიანებით კი, შპს-ებთან სრული ანგარიშსწორება მოხდება, რაც შესაბამისად სამუშაოს ხარისხზე მოთხოვნას გაზრდის. ამას გარდა, სავარაუდოდ, მოხდება არსებული ტარიფების გადახედვა, რომლებიც ძველ, საბჭოთა სისტემის დროინდელ გათვლებზეა დამყარებული, გარკვეულად მორგებულია ამჟამინდელ საჭიროებებსა და ფინანსურ შესაძლებლობებზე და სრულიად მოკლებულია რეალურ საფუძველს. მოსახლეობიდან ტარიფის ამოღების მექანიზმი კვლავ შეუმუშავებელი რჩება, თუმცა ამის ხარჯზე აღარ დაზარალდება შპს. ასევე სახელმწიფოს მიერ მოგვარდება ბიზნეს-სტრუქტურებიდან გადასახადის ამოღების პრობლემაც.

შეიქმნა ერთიანი მაკონტროლებელი სამსახური – ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახური, რომელმაც სამი სხვადასხვა საქალაქო სამსახური გააერთიანა. რაც ასევე პოზიტიურად უნდა აისახოს ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის ისევე როგორც ნაგავსაყრელების კონტროლის სისტემის გამართულად მუშაობაზე. ასევე იგეგმება საჯარიმო სანქციების შემუშავება ქალაქის დანაგვიანებისათვის რაც შეეხება როგორც მოსახლეობას, ისე ბიზნეს სტრუქტურებს.

არის პრაქტიკული ხასიათის დახმარებებიც მერიის მხრიდან. კერძოდ, ტექნიკის გამოყოფა და ახალი კონტეინერებით მომარაგება, რაც ნარჩენების გატანის პროცესზე დადებითად უნდა აისახოს. აღსანიშნავია ნარჩენების სფეროში მომუშავეთა ხელფასების მატებაც, რაც კადრების სტაბილურობას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, იგეგმება მოსახლეობასთან მუშაობა, სარეკლამო რგოლების დამზადება და სხვ.

რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგეგმება ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავება. ამასთან, როგორც მოსამზადებელი ეტაპი, იგეგმება ნარჩენების ინვენტარიზაცია საქართველოს მასშტაბით, რაც თავისთავად აუცილებელია, რამდენადაც ნარჩენების მართვის დაწყება პირველ რიგში ნიშნავს სულ მცირე, ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრას. როგორც ცნობილია, მონაცემები რომლებიც აქამდე არსებობდა არაზუსტია და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი.

თუმცა, არის მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც კვლავ გადაუჭრელი რჩება. ქალაქის დასუფთავების სისტემა ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისაგან. არსებული ნაგავსაყრელები კვლავ რჩება მუდმივი დაბინძურების წყაროდ. მათი რეკონსტრუქცია ან ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

ამასთან, გადაუჭრელია ნარჩენების რაოდენობის გაყალბების პრობლემა. მაშინ, როცა ნარჩენების გამტანები და განმთავსებლები ისევ პირდაპირ დაინტერესებულნი არიან ნარჩენების რაოდენობის გაზრდით (რამდენადაც მათთვის გამოყოფილი სახსრები ნარჩენების რაოდენობით განისაზღვრება), ყოველთვის იქნება მონაცემების ხელლოვნურად გაზრდის საშიშროება. ნარჩენების აღრიცხვის არსებული სისტემის გარკვეული გაუმჯობესების მცდელობას წარმოადგენს ნაგავსაყრელზე შესული მანქანების აწონვა. თუმცა, კონტროლის მექანიზმების გამკაცრების და ძველი სისტემისათვის დამახასიათებელი კორუფციული გარიგებების გამორიცხვის გარეშე, ამ მეთოდმაც შეიძლება ფორმალური სახე მიიღოს.

არ არის გათვალისწინებული მექანიზმი, რომელიც გამორიცხავდა ნარჩენების გაყალბების შესაძლებლობას ან წაახალისებდა ნარჩენების შემცირებას. მაგალითისათვის, ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს ნაგავსაყრელის დაბეგვრა. ამ შემთხვევაში ნაგავსაყრელის მეპატრონე სახელმწიფოს უხდის გადასახადს განთავსებული ნარჩენების თითოეული კუბური მეტრისათვის. შესაბამისად, ნაგავსაყრელს უხდიან ნარჩენების მიმწოდებლები განთავსებული ნარჩენების რაოდენობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ფინანსების დარეგულირება საბაზრო ურთიერთობებით ხდება და ნარჩენების გაყალბების საჭიროება გამოირიცხება. ამასთან, ნარჩენების მიმწოდებლების ინტერესებშია რაც შეიძლება ნაკლები ნარჩენი შევიდეს ნაგავსაყრელზე, რაც მეორადი გადამუშავეებისათვის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, ამ მექანიზმის დანერგვა ნარჩენების მართვის გაზრდილ ხარჯებს უკავშირდება, რაც დღევანდელი ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით ნაკლებად სავარაუდოა განხორციელდეს. ამას გარდა, არსებული ადმინისტრაციული პრობლემების პირობებში, როდესაც პრაქტიკულად არ მუშაობს კონტროლის სისტემა და სადამსჯელო მექანიზმები, ამან შეიძლება გაზარდოს ნარჩენების არალეგალურ ნაგავსაყრელზე განთავსების შემთხვევები. ამდენად, ნარჩენების რაოდენობის გაყალბების თავიდან ასაცილებლად აუცილებ-

ბელია ადმინისტრაციული ზომების გამკაცრება და ნაგავსაყრელზე შესული ნარჩენების აღრიცხვის მუდმივი ზედამხედველობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ცვლილებები ჯერჯერობით მიმართულია დასუფთავების სისტემის მეტნაკლებად გაუმჯობესებისაკენ და არ ცვლის ძირეულად ნარჩენების მართვის სისტემას. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ის, რომ ადამიანების ცნობიერებაში ნარჩენების მართვა კვლავ მხოლოდ ქალაქის დასუფთავებასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან ასოცირდება. კვლავ არააქტუალური რჩება ნაგავსაყრელებზე მიმდინარე პროცესები, გარემოს მუდმივი დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი. აქედან გამომდინარე, არსებობს საშიშროება, რომ ნარჩენების მართვის სისტემისათვის წაყენებული მოთხოვნები ქალაქის დასუფთავების და მისი გარეგნული იერსახის გაუმჯობესებით შემოიფარგლოს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მომავალი ნარჩენების მართვის სახელმწიფო სტრატეგიის და ქალაქის ნარჩენების მართვის გენერალური გეგმის მიმართულებები რამდენადაც, სწორედ მათ უნდა განსაზღვრონ ძირითადი მიზნები, პრიორიტეტები და რეალური ამოცანები ნარჩენებთან მიმართებაში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სახელმწიფოს დამოკიდებულება და მიზნები ნარჩენების მიმართ, გახდება აქტუალური ნარჩენების მართვის სხვადასხვა მეთოდების და მექანიზმების შემუშავება და დანერგვა დასახული მიზნების რეალიზაციისათვის.

აღნიშნული ნაბიჯების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის აქტუალობის შენარჩუნებას. კერძოდ, იმას, თუ რამდენად დარჩება ნარჩენების სფერო პრიორიტეტად, რამდენად იქნება ცვლილებები მიმართული ძირეული გარდაქმნებისაკენ და არ ექნება სიმბოლური ხასიათი, როგორც ადრე ხდებოდა. ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია და რამდენიმე კონკრეტული აქციით არ ამოიწურება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს კადრების დენადობის შემცირებასაც. როგორც ცნობილია, კადრების არასტაბილურობა, განსაკუთრებით მმართველ პოსტებზე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ნარჩენების სფეროს განვითარებისათვის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. წამოწყებული პროგრამები ხშირად ვერ პოულობდა განხორციელებას სწორედ მთავარი კოორდინატორების ან სხვა პასუხისმგებელი პირების ახალ პოსტებზე გადაყვანის გამო.

რაც შეეხება ნარჩენების შემცირების მეთოდების დანერგვას, ჯერჯერობით, ამის ნათლად გამოხატული პერსპექტივა არ შეინიშნება. როგორც აღინიშნა ნარჩენების მართვის სახელმწიფო სტრატეგია, ჯერჯერობით, შემუშავებული არ არის და მხოლოდ ახლა იწყება მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის ნარჩენების აღრიცხვა, რის გარეშეც რთულია ნარჩენების მართვის დაგეგმვა და მეორადი გადაამუშავების პოტენციალზე საუბარი. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოდ ჩავთვალეთ, კვლევის ფარგლებში, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა ნარჩენების შემცირების სავარაუდო მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მეორად ნედლეულზე, კერძოდ, მინაზე, ქალაქებზე და პლასტიკურ ნაწარმზე, რაც რაოდენობრივ მაჩვენებლებში აისახა კვლევის ანგარიშში. არსებული ქარხნები და საწარმოები, რომლებიც ამ ტიპის პროდუქციას გადაამუშავებენ ნედლეულის მუდმივ ნაკლებობას განიცდიან. თუმცა, მათი აბსოლუტური უმრავლეს-

სობა აღნიშნავს, რომ მეორადი გადამუშავების განვითარებაში სწორედ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მთავარი როლი. ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების დანერგვა უდაოდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. კერძოდ, მეორადი ნედლეულის შეგროვება დამატებით ინფრასტრუქტურას მოითხოვს და ასევე, ზრდის ნარჩენების გატანის ხარჯებს. ამას გარდა, აუცილებელია მოსახლეობასთან მუშაობა და კონტროლის გამართული სისტემის ფუნქციონირება, რათა გამოირიცხოს არალეგალური ნაგავსაყრელებით სარგებლობა და არ მოხდეს ნარჩენების უკანონოდ დაყრა ქალაქის ქუჩებში. ხშირ შემთხვევაში, ეს სისტემა განსაკუთრებით, როდესაც ამას იძულებითი რეციკლირების ფორმა აქვს, თავის თავს ვერ ანაზღაურებს და სახელმწიფო სუბსიდიების ხარჯზე არსებობს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ეს შეიძლება მომგებიანიც იყოს, განსაკუთრებით, როცა რეციკლირება შეწყვილებულია ნარჩენების მართვის სხვა მექანიზმებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის, რათა მოხდეს ქალაქისათვის ნარჩენების მართვის ოპტიმალური პაკეტის შერჩევა, საჭიროა, ზუსტად იქნეს შესწავლილი მეორად ნედლეულზე მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობა.

როგორც კვლევამ გამოავლინა, მოსახლეობის დიდი ნაწილი (60%) სურვილს გამოთქვამს მიიღოს მონაწილეობა ნარჩენების დახარისხებულად შეგროვებაში, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, რამდენადაც, მოსახლეობის როლი და მხარდაჭერა ნარჩენების მართვის სისტემის სწორად ფუნქციონირებაში გადამწყვეტია. თუმცა, როგორც მოსახლეობის გამოკითხვიდან ჩანს, გარკვეული ნაწილი კვლავ გულგრილი რჩება ნარჩენების საკითხისადმი. გამოკითხულთა დიდი ნაწილი კვლავ მოსახლეობას ასახელებს ქალაქის დანაგვიანების მთავარ წყაროდ. როგორც ცნობილია, ნარჩენების სფეროს კონტროლი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ქუჩების და ეზოების დანაგვიანებას, ნარჩენების არასწორად განთავსებას კონტეინერებში და ა. შ. საქართველოში მოსახლეობის ცნობიერების დონე, ზოგადად გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში, საკმაოდ დაბალია, რაც გარკვეული სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობებით არის გამოწვეული. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება (საინფორმაციო კამპანიები, საგანმანათლებლო პროგრამები), საგანმანათლებლო პროცესი და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობების დანერგვა სკოლებში. ასევე, აღსანიშნავია მოსახლეობის დაბალი გადამხდელუნარიანობა, რაც გასათვალისწინებელია ნარჩენებზე გადასახადის დაწესებისას ან სხვა ეკონომიკური მექანიზმების დანერგვისას, იმისათვის, რომ არ მოხდეს ნარჩენების არალეგალურად დაყრა.

ნარჩენების მართვის სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება “მწარმოებლის პასუხისმგებლობის” პრინციპის დანერგვას. თუმცა, შესაძლოა, ეს ნაკლებად პრიორიტეტულად ჩანდეს დღეს, რამდენადაც წარმოება მხოლოდ განვითარების სტადიაშია. მაგრამ სავარაუდოდ და სასურველი ეკონომიკური ზრდის პირობებში ეს საკითხი უდაოდ აქტუალური გახდება. ამდენად, მნიშვნელოვანია “მწარმოებლის პასუხისმგებლობის” მექანიზმის გათვალისწინება უკვე ამ ეტაპზე, იმისათვის, რათა მოსალოდნელი გართულებები თავიდან იქნეს აცილებული მომავალში. დღესდღეობით “მწარმოებლის პასუხისმგებლობის” პრინციპის გამოცდილება საქართველოში არ არის. იყო ერთეული მცდელობები, ეწარმოებინათ მოლაპარაკება სასმელის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებთან, რაც უკავშირდებოდა წარმოებულ პლასტიკურ ბოთლებზე გადასახადის

დაწესებას. თუმცა, ეს მცდელობა შემდგომში არ განვითარებულა. აღსანიშნავია, რომ კომპანიები მზად არიან ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან, თუ ეს მათთვის ხელსაყრელი იქნება.

როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელიც აღნიშნავს, ნარჩენების ინვენტარიზაციამდე ნაადრევია ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის საჭიროებაზე საუბარი. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ქარხნებთან მთელ მსოფლიოში გარკვეული პრობლემებია დაკავშირებული, რაც ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული. კერძოდ, ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა დიდ ხარჯებს უკავშირდება და რენტაბელურობის შესანარჩუნებლად დიდი რაოდენობით ენერჯისა და რესურსებს მოითხოვს, რაც ხშირად სხვა ქვეყნებიდან ნარჩენების იმპორტის საშუალებას ქმნის. გარდა იმისა, რომ ამ ტიპის ქარხნებთან დაკავშირებულია მთელი რიგი გარმოსდაცვითი პრობლემები, იგი არ არის მიმართული ნარჩენების შემცირებისაკენ და მხოლოდ წახალისებს მოხმარებული ნარჩენებისა და ენერჯორესურსების წილის ზრდას და ეწინააღმდეგება ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპებს. ასევე გამოირიცხება მოსახლეობის როლი და ნარჩენებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარია იმის გაცნობიერება, რომ ნარჩენების მართვა საკმაოდ რთული და კომპლექსური პროცესია. ქალაქის დასუფთავებიდან ნარჩენების მართვაზე გადასვლა, ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით, რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს, რაც პირველ რიგში, ნარჩენების მართვის დაგეგმვის განვითარებას და ნარჩენებით გამოწვეული პრობლემების მიმართ სტრატეგიულ მიდგომას გულისხმობს. ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს როლი, ისე მოსახლეობის მხარდაჭერა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ბევრი რამ გაკეთდეს სწორედ ახლო მომავალში, სანამ საკითხი საკმაოდ აქტუალურია. თუმცა, ასევე საჭიროა, რომ თემამ აქტუალობა არც მომავალში დაკარგოს და მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესებით არ შემოიფარგლოს. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ნარჩენების მიმართ. მთავარი გარდატეხის მომენტი საერთაშორისო საზოგადოებისათვის, ნარჩენების მართვის სფეროს განვითარების პროცესში, იყო სწორედ იმის გაცნობიერება, რომ ნარჩენების მდგრადი მართვა, ნიშნავს არა მხოლოდ ნარჩენების რაოდენობის კლებას, რაც მისი განთავსებისათვის საჭირო მიწის რესურსებს ზოგავს, არამედ ასევე პირველადი ნედლეულის, ანუ ბუნებრივი რესურსების დაზოგვას და ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურების, ისევე როგორც სათბურის ეფექტის გამომწვევი აირების შემცირებას. ამდენად, ნარჩენების თემა მდგრადი განვითარების სამივე – ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს მოიცავს და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. შეიძლება ითქვას, რომ ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იქნება ამჟამინდელი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების სიმცირის გათვალისწინებით. თუმცა, შესაძლებელია არსებული სისტემის პირობებში ეტაპობრივად დაიწყოს ნარჩენების მდგრადი მართვის პრინციპების დანერგვა, რათა მომავალში, თანდათან მოხდეს მსოფლიოში მიღებულ ტენდენციებთან მიახლოება.



მისამართი: საქართველო, თბილისი
ციფშიძის ქ. № 5ა. მე-4 კორპუსი;
მე-7 სართული.

საფოსტო მისამართი: საქართველო,
0162 თბილისი; ჭავჭავაძის ქ. №62

ტელ.: (+995 32) 22 16 04; 22 38 74.
ფაქსი: (+995 32) 22 38 74.
ელ. ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ გვერდი: www.greenalt.org

ვრცელდება უფასოდ